

სამართლის მოწვევისა და საქართველოს განვითარების - საქართველოს კულტურული და სპორტული ცენტრი

სამართლი

№ 1 (38) 1.01.- 1.02.2015

ფასი 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა

ვილიამ ცისკო შემსახული წელი



ასალი თელი
ლუდოვიკო
ჯაფეურიას
ოჯახში



ეთერ
კაკულიას
ვაჩეკვლავი



კოლიკარე
ცეკვალავა

26 ათენა გალი
ვაჩეკვლავი
და გამარილი
სისტემები



ლევან ლოგუა
შეცვალილი კადრი

გრძელებული
ცირკულაცია



ნინო
კაკულია
უზის მარიონ
მოსილი ქალი

ISSN 1987-8524



მიმღებარეობას უარისას გამოხატა
მიმართათ რაღაც გიას

ასეთი

ს ა რ ჩ ე ვ ი



| | |
|--|----|
| ილია II | 2 |
| ქრისტესშობა | 4 |
| ალილოობა საქართველოში | 6 |
| ტრადიციული ახალი წელი სამეგრელოში | 8 |
| 19 იანვარს ქრისტიანული სამყარო ნათლისღებას აღნიშნავს | 10 |
| 27 იანვარი წმინდა ნინოს ხსენების დღეა | 11 |
| საახალწლო მოზაიკა | 12 |
| ჯვარი ნიჭიერებით ჯვარგარდასახული ოჯახის აკვანი | 14 |
| მზისგან მანტია მოსხმული ქალის ისტორია | 18 |
| შეწყვეტილი კადრი — ლევან ლოგუა | 20 |
| მიიღეთ იგი როგორიც არის | 22 |
| ერთ ლექციაში მოქცეული ქართული ცნობიერება | 24 |
| ანთებული ვარსკვლავი და ჩამქრალი სიცოცხლე — პოლიკარპე ხუბულავა | 26 |
| ალესილი კალმის ნაკვალევზე | 29 |
| სამეგრელოს დირსშესანიშნაობები — დავით კიკოლაშვილი | 30 |
| საშობაო მინიატურები - ნიკო ლორთქიფანიძე | 32 |
| საახალწლო ფიქრები — ვაჟა-ფშაველა | 34 |
| მე დღეს გადამწვეს როგორც ნათურა — ვანო ცინცაძე | 36 |
| რა ვამღეროთ ქმრებს საახალწლოდ | 37 |
| ონტოფოს გაცოცხლებული სახლი | 38 |
| მონატრება — ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ეკლესიის წინამდღვარი დეკანოზი მამა გიორგი (გიორგი თევდორაშვილი) | 40 |

მთავარი რედაქტორი —
ნინო რავაზიაშვილი
ტელ: 599 74 68 10
დამუშავებელი —
გონა გულაშვილი
ტელ: 599 53 58 94
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარგაიშვილი
ტექსტი ააწყო
თამარ გოგინაძე
მისამართი: თბილისი, ლესელიძის
ქ. №27, მე-2ს., 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ურნალი „სამეგრელოს“ ემიგრანტ მეგრელებს
და არა მარტო მათ, გთავაზობთ თანამშრომლობის
პროექტს - გამოგვიგზავნეთ მასალები,
ფოტოსურათები, რითაც შეძლებთ მოეფეროთ
თქვენს მონატრებულ ქვეყანას, ოჯახებს და ამავე
დროს მხარში დაუდგეთ ურნალს.
ტელ: 599 74-68-10

ძვირფასო მკითხველო!
გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული მსალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. რაც შეეხება
სარეკლამო ტექსტს, მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის შემკვეთს ეკისრება.

ურნალში მასალების განთავსება ფასიანია!

„ნეორ ჩავთავაშილის გამოხვალობა“ და ეუდელი „საევგრალო“
 ყველა გართლებადიდებების უღრუსავს, ერის სელიარი გამის, უცმინდების
 და უცხატარების, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
 მთავარებელის სელიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
 მიზრამლიზი გიზვითისა და ცხა-აფხაზების, ილია II - ის
 დაგადების დღეს


თ რ უ ლ ი ლ



მამა — გიორგი შიოლაშვილი,
 დედა — ნატალია კობაძე

1933 წლის 4 იანვარს ვლა-
 დიკავკაზში, გიორგი სიმონის ძე
 ლუდუშაური-შიოლაშვილისა და
 ნატალია იოსების ასულ კობაძის
 კეთილმორწმუნე ოჯახში დაიბადა
 ილია (ერისკაცობაში ირაკლი)
 ლუდუშაურ-შიოლაშვილი.

უნმინდესისა და უნეტარესის,
 ილია მეორის მამა, გიორგი
 ლუდუშაური, დაიბადა და ცხო-



ვრობდა სწორი. დედა - ნატალია კობაძე კი სოფელ სიონიდან იყო. მათ 1927 წელს ქალაქ ვლადიკავკაზში შეიძინეს სახლი და დროებით საცხოვრებლად იქ გა-დავიდნენ. გიორგი ლუდუშაურის ოჯახთან ბევრ სასულიერო პირს ჰქონდა ურთიერთობა, მათ შორის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ კალი-სტრატე ცინცაძეს. პატრიარქი სწორედ მათი ოჯახის საშუალებით ამყარებდა ურთიერთობას ვლა-დიკავკაზში მცხოვრებ ქართველებთან.

ძაუგის (ვლადიკავკაზის) ქართული ეკლესია მაშინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის იურისდიქციაში შედიოდა. ქრისტეშობის დღეს სწორედ ამ ქართულ ეკლესიაში მონათლეს სამი დღის ახალშობილი და ყრმას, მეფე ერეკლეს პატივსაცემად, ირაკლი დაარქვეს. საქართველოს მომავალი პატრიარქი კათოლიკოს-პატრიარქ კირიონის ყოფილმა მდივანმა, არქიმანდრიტმა ტარასიმ (კანდელაკი) მონათლა. ბავშვის ნათლია იყო მონაზონი ზოლე (დვალიშვილი).

1952 წელს ირაკლი შიოლაშვილი-ლუდუშაურმა დაამთავრა ვლადიკავკაზის 22-ე სამუალო სკოლა და სწავლა განაგრძო მოსკოვის სასულიერო

სემინარიაში, რომელიც სერგიევ პოსალში (მაშინდელ ზაგორსკში) მდებარეობს. სასულიერო სემინარია პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა და როგორც საუკეთესო სტუდენტი, სასულიერო აკადემიის პირველ კურსზე ჩაირიცხა.

იმ დროს წმიდა სამების მონასტრის ნინამძღვარი იყო მომავალში მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი. „მე სიყვარულით ვიხსენებ მოსკოვის სასულიერო სემინარიაში სწავლის წლებს, როცა სტუდენტებიცა და მასწავლებლებიც სიხარულით



ილია II

დავდიოდით მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ძალლონით აღსავსე წინამძღვრის მჭევრმეტყველური და ლრმა შინაარსის მქონე ქადაგებების მოსასმენად...

... განსაკუთრებით ჩვენ პერად აღკვეცის წესზე დასწრება გვიყვარდა", - იხსენებს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

ყოველივე ამან გადააწყვეტინა აკადემიის ახალგაზრდა, წარჩინებულ სტუდენტს „ძნელად გადა-საწყვეტი საქმე“ - პერად შედგომა.

24 წლის ასაკში 1957 წლის 16 აპრილს, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ III ლოცვა-კურთხევით, თბილისის ალექსანდრე წეველის ტაძარში სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი პერად აღკვეცეს. პერად აღკვეცის საიდუმლო შესარულა ეპისკოპოსმა ზინობიმ (მაჟუგა) და პერს სახელად ილია უწოდა.

იმავე 1957 წლის 18 აპრილს სიონის საპატრიარქო ტაძარში პერი ილია ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, ხოლო 1959 წლის 10 მაისს წმიდა სერგის მონასტრის ლავრაში იეროდიაკონი ილია მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდეს ალექსი I მიერ ხელდასხმულ იქნა მღვდელმონაზვნად.

ამავე 1960 წლის 19 დეკემბერს აღყვანილ იქნა იღუმენის, ხოლო 1961 წლის 16 სექტემბერს - არქიმანდრიტის სარისხში.

1963 წელს, ხრუშჩინოვის მმართველობის პერიოდში, როცა რუსეთში სულიერი სემინარია, მრავალი ტაძარი და მონასტერი დაიხურა, უწმიდესმა და უნეტარესმა ეფრემ II საქართველოში სასულიერო სასწავლებლის გახსნა მოახერხა, რომელსაც, მეტი სიფრთხილისათვის, „საღვთის-მეტყველო კურსები“ დაარქევს. სწორედ ამ „საღვთისმეტყველო კურსების“ პირველ დირექტორად დაინიშნა არქიმანდრიტი ილია.

1963 წლის 26 აგვისტოს, კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II მიერ საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა

რველობით, არქიმანდრიტი ილია ხელდასხმულ იქნა ბათუმ-შემოქმედელ ეპისკოპოსად და დაინიშნა პატრიარქის ქორეპისკოპოსად.

აქარაში შეიდი წლის მოღვაწეობის შემდეგ, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, 1967 წელს იგი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. 1969 წელს აღყვანილ იქნა მიტროპოლიტის ხარისხში 11 წელი დაპყო.

1972 წელს ჯილდოდ მიიღო მეორე პანალის ტარების უფლება, ხოლო 1975 წელს - უფლება სკუფიაზე ჯვრის ტარებისა.


1977 წელს გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V (დევდარიანი). 1977 წლის 9 ნოემბერს, წმიდა სინოდის განჩინებით, პატრიარქის მოსაყდრე გახდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია.

1977 წლის 23 დეკემბერს თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში გამართულმა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის XII ადგილობრივმა კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის ახალი კათოლიკოს-პატრიარქის არჩევის საკითხი და მიტროპოლიტი ილია ერთხმად იქნა არჩეული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და ენოდა ილია II. ილია I საქართველოს ეკლესიას მართავდა 390-400 წლებში.

1977 წლის 25 დეკემბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის საპატრიარქო ტახტზე, რომელიც ანდრია პირველ-წოდებულისა და სვიმონ კანანელისაგან იღებს დასაბამს, ახალი პატრიარქი იქნა აღყვანილი: ღვთის განგებით, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში შესრულდა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრება.

გავიდა 25 წელი და აი, ის არასრული ჩამონათვალი, რაც ჩვენი პატრიარქის მწყემსმთვრულ მოღვაწეობას უკავშირდება:

1988 წელს მისი უწმინდესობის



თაოსნიობით მცხეთის სასულიერო სემინარია გადმოტანილ იქნა თბილისში და დაარსდა თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია.

კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, საქართველოში გაიხსნა ეკლესიებიდამონასტრები, აშენდა ახალი ტაძრები.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაჯილდოებულია მსოფლიოს საპატრიარქოს, იერუსალიმის, ალექსანდრიის, რუსეთის, ბულგარეთის, სერბეთის და თითქმის ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოთი. ნიუიორქის სასულიერო აკადემიამ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ღვთისმეტყველების დოქტორის წოდება მიანიჭა. ასეთივე ხარისხი მიანიჭა 1997 წელს მას კრეტის მეცნიერებათა აკადემიამ. იგი არჩეულია მოსკოვის ინფორმატიზაციის აკადემიის წევრად,

2002 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურმა უნივერსიტეტმა საპატიო დოქტორისა და პროფესორის წოდება მიანიჭეს.

ანგელოზები

უფალო, დიდება შენდა!

როდესაც ადამიანთა მოდგმის პირველი მშობლები ღვთის აღთქმის დარღვევის გამო სამოთხიდან განიდევნენ, უფალმა თავისი გამოუტქმელი გულმოწყალებით დაცემულ კაცობრიობას გამოხსნის აღთქმა დაუდო. ამ აღთქმაში ყოვლადწმინდა ქალწულის შესახებ წინასწარმეტყველებაც იყო: „**თესლი დედაკაცისა დათრგუნავს თავსა გველისასა**“. ჩვენი მხსნელის ყოვლადწმინდა დედის შესახებ ეს პირველი სასიხარულო უწყება ბევრჯერ განმეორდა, რათა ადამიანები მესის მომავალი მოსვლისათვის მოემზადებინა.

ქვეყნიური მეფის ნებამ მოუხმო იოსებსა და მარიამს ბეთლემისაკენ, რათა ზეციური მეუფის ნება აღსრულებულიყო. იოსები და მარიამი აუცილებლად უნდა წასულიყვნენ ბეთლემში - დავით მეფის სამშობლოში, სადაც სამეფო შტოს საგვარეულო წუსხები ინახებოდა და სახელი იესოსი, რომლის წინაშეც ყოველთა ზეციურ ძალთა მუხლი იდრიკება, წარმართი ხელისუფალის ქვეშევრდომთა შორის ჩანსერილიყო. დიდება უფალო, სიმდაბლესა შენსა, დაე, განქარდეს ყოველი ამპარტავნება გულთაგან ჩვენთა!

წლის მკაცრ სეზონზე და სრულიად უსახსროდ, არასასურველ ვითარებაში უნდა დასდგომოდნენ იოსები და მარიამი ძნელ გზას. ამ გზის გასავლელად საუკეთესო შემთხვევაში სამ დღე-ღამეზე მეტი იყო საჭირო. ბეთლემი, პატარა ქალაქი, რომელსაც ადრე ევფრათა ეწოდებოდა, იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ქებრონის გზაზე და ნაზარეთიდან სამი დღის სავალი აშორებდა. დავითი ბეთლემში დაიბადა და მისი მეფედ ცხებაც აქ აღსრულდა. ბეთლემში იყო დავითის მთელი მოდგმა და ამიტომ ის დავით მეფის საგვარეულო ქალაქად იწოდებოდა.

ბოლოს მათ მიაღწიეს ბეთლემს, მაგრამ აქ მოსასვენებელი ვერსად იპოვეს. პატარა ქალაქი მომსვლელებით იყო სავსე. წმინდა მწირები ამაოდ ეძებდნენ თავშესაფარს. არავინ მიიღო ისინი, „რამეთუ არა იყო მათთა ადგილი სავანესა“. მთელ

ქალაქში თავისუფალი კუთხეც კი არსად მოიძებნა. ისინი ადამიანთა საცხოვრებელს უდრტვინველად გაშორდნენ და სადგომს ქალაქის შემოგარენში, ჭიშკართან ახლოს ეძებდნენ. ბეთლემის ჩრდილოეთით, დავითის წყაროდან ორასიოდე ნაბიჯზე, კლდეებს შორის არის გამოქვაბული, რომელშიც ქარიშხლის და უამინდობის დროს მწყემსები პირუტყვითან ერთად თავს აფარებდნენ. გამოქვაბულის სილრმეში ქვის კლდეში ამოკვეთილი ჩაღრმავება ცხოველებს ბაგის მაგივრობას უწევდა. ამ ღატაკურ გამოქვაბულში მოთავსდნენ წმინდა მგზავრები და სრულ სინყნარესა და სიმშვიდეში იმყოფებოდნენ.

ამ მყარ კლდეებში შუალამისას ქალწულმა მარიამმა წინასუკუნეთაგან მამისაგან შობილი უხრწნელი შვა და „მიაწვინა იგი ბაგასა“. სასწაულებრივი, ადამიანური ბუნებისათვის მიუწვდომელი იყო მისი მუცლადღება, ასევე ზებუნებრივად მოხდა მისი მოვლინება ყმაწვილი დედის წინაშე. ასე სხივმფენი მნათობი გაარღვევს მეყდეყლად ღრუბელს, რათა თავისი სინათლითა და სითბოთი ქვეყნიერებას სიცოცხლე მოჰყონოს.

მხსნელის შობას ტკივილები არ სდევდა თან, ქალწულმა იმგვარად შვა, რომ მთელი თავისი მხიარულება და ძალა შეინარჩუნა. როდესაც ყოვლადწმინდამ ძე თვისი და ღმერთი ჩვენი შვა, დაუყოვნებლად მის სამსახურს შეუდგა. სხვათა დახმარება არ სჭირდებოდა, არც ტკივილსა და არც იმ უძლურებას არ გრძნობდა, რომელსაც ჩვეულებრივ განიცდიან ქალები.

დედა ღვთისამ ყოვლადწმინდა ხელებით თვითონვე შეახვია იგი, ბაგაში მიაწვინა და პირველმა სცა თაყვანი. თავისი ძუძუს აწოვებდა მას, მის მელავებში განვლო უფლის სიყრმემ, დედასთან განუშორებლად გაატარა მან თავისი სიყმაწვილე 30 წლის ასაკამდე, სანამ ადამიანთა მოდგმას განუცხადებდა, რომ საკაცობრიო ცოდვებს საკუთარ თავზე იღებდა, რათა ჯვარზე სიკვდილით ქვეყნიერებისათვის ხსნა მოენიჭებინა.



ქრისტე დაბადებულათ...

თორთოლვითა და მოკრძალებული მდუმარებით სცა თაყვანი იოსებმა ყოვლადწმიდა დედასა და მის ძეს - ჩვენს ღმერთს. განცვიფრების სიხარულით შეპყრობილმა ზებუნებრივი სასწაული განჭვრიტა და დაუყოვნებლივ შეიგრძნო, რომ მისი ძე ჭეშმარიტად სულინმინდისაგან არის, მიხვდა, რომ იმ დრომდე, სანამ არ შვა ძე თვისი პირმშო, პირმშო ახალი ცხოვრებისა, პირმშო ახალი ალთქმისა, ლვთისმშობელს არ იცნობდა იოსები, არ იცოდა, ვინ იყო იგი და რისი ღირსი გახდა თვითონ, არ იცნობდა მას - დედას ლვთისას, იმიტომ, რომ იოსებისთვის დაფარული იყო, თუ რაგვარი ლვთაებრივი საიდუმლო იმალებოდა მასში. მხოლოდ აქ, ძის ბუნებითი შობის დროს მან მოლიანად გაიაზრა, რომ ამაზედ იყო ნათქვამი: „ქალწულმან მუცლად იღოს“.

კაცობრიობის მეუფის და მხსნელის შობით ღმერთმა ქვეყანას დიდიდა ახალი სასწაული მოუვლინა: - სასახლის მაგიერ - უდაბნოს ქვაბული, ლოგინის ნაცვლად - ჩალის ნაგლეჯი, უფალმა, რომელიც ცაში ჩიტსაც კი არ ტოვებს მზრუნველობის გარეშე, თავისი ბრძნული ყოვლისშემძლეობით მხოლოდშობილი ძისთვის მიწიერი სავანე არ განამზადა. ძე ლვთისამ, რომელიც ზეცის მფლობელია, ბაგაში განისვენა; უცნობ ქალს ჩაესახა ქრისტე, ხოლო დიდებულ იერუსალიმში ჯვარზედ აცვეს, მცირე ბეთლემში იშვა იგი, ხოლო დიდ იერუსალიმში სიკვდილად მიეცა. საკვირველ არიან საქმენი შენი, უფალო!

ძე ლვთისასა შობის წუთებში გაიხსნა ცა, ლვთის დიდებამ განანათლა მინა, რომელიც ღრმა წყვდიადით იყო დაფარული, ანგელოსთა დასნი გარდამოვიდნენ მაღლიდან და სიხარულით გალობდნენ, რომ ქვეყანაზე დაემკვიდრა მშვიდობა და ადამიანებს ლვთის წყალობა დაუბრუნდათ.

რას შვრებოდა ამ დროს მინა, - ლვთის დიდებით გაბრნებინებული? ყოველივე ღრმა ძილში იყო ჩაძირული: იუდეველები აღთქმული მესიის მოლოდინში, - რომლისგანაც ქვეყნიურ დიდებას ელოდნენ, - სჯულს იცავდნენ, ხოლო წარმართები თავიანთი კერპების წინაშე იღრჩობოდნენ ცოდვაში.

ბეთლემშიც ასე ეძინათ, მაგრამ არა ყველას. ბეთლემის ველზე, რომელიც მთებით იყო გარშემორტყმული და ქვაბულიდან ნახევარი საათის სავალზე მდებარეობდა, იდგა სვეტი, რომელიც ედერის სახელით იყო ცნობილი და რომლის სიახლოვესაც დიდი დავით მეფე მამის ფარას მწყემსავდა. ლამით, ამ დროს მწყემსები ცხვარს ედგნენ დარაჯად. მოულოდნელმა სხივმა გაანათა ისინი, უფლის ანგელოსი წინ წარმოუდგათ და უთხრა: „ნუ გეშინინ, რამეთუ აჲა, ესერა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა

ერისა, რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი ქალაქსა დავითისასა, და ესე იყოს თქუენდა სასწაულად: ჰპოვოთ ყრმა იგი შეცვეული და მწოლარე ბაგასა“.

როდესაც ზეციურმა მაცნემ ხარება დაასრულა, მოულოდნელად, როგორც მისი სიტყვის დადასტურება, გამოჩნდა ანგელოსთა უთვალავი მხედრობა, რომელიც აქებდა და ადიდებდა უფალს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათხოება“.

არც ბრძენთ, არც დიდებულო, არც ამა ქვეყნის ძლიერთ და მდიდართ არ გამოუცხადა უფალმა თავისი საიდუმლო, არამედ - ყველაზე ღატაკ, ყველაზე უკანასკნელ მაშვრალებს ამქვეყნად. დაფარა - ყოვლადბრძენთა და გონიერთა წინაშე - და განუცხდა ყრმებს: ჰპო, უპოვარების ნეტარებავ, მორჩილებისა და უსიტყვო თვინიერების მომწიქებელო, სიამაყისა და ამპარტავნების დამთრგულველო! თვით უფალი მისი ღატაკებთან და სიყვარულისა და გულმონყალების წყაროს გარდმოუვლენს მათ. ანგელოსები წავიდნენ ცისკენ, დამთავრდა დიადი ხილვა, მწყემსები გონს მოეგნენ და ყველამ, როგორც ერთმა, გადაწყვიტა, წასულიყო ბეთლემში და ენახა, რაც იქ მოხდა. მათ კარგად იცოდნენ ის ადგილები ბეთლემისკენ მიმავალ გზაზე, სადაც საქონლის ბაგები იყო და სადაც ღარიბი მგზავრები თავშესაფარს პოულობდნენ. წავიდნენ და ჰპოვეს ყოვლადწმინდა ქალწული და ბაგაში მწოლარე ყრმა და თაყვანი სცეს მას.

ანგელოსთა სხივბრნყინვალე გამოცხადებისა და ხარების შემდეგ ღვთაებრივი ყრმა უბრალოებით და სიღატაკით გარშემორტყმული კიდევ უფრო ზეციური და ნათელი ეჩვენათ. თაყვანისაცემად მისულებმა ყველაფერი მიიტანეს, რაც კი ებადათ: წმინდა სიყვარული, მყარი რწმენა და მხსნელის და მეუფის მხურვალე დიდება. და რადგან სურდათ, საკუთარი ღვთისმოსაური გრძნობა გამოეხატათ, მის ყოვლადწმინდა დედას უამბეს ყველაფერი, რაც წახეს და ანგელოსთაგან ესმათ. ქალწული მარიამი თვალს ადევნებდა ყველაფერს, რაც მისგან შობილ ღმერთკაცს შეეხებოდა და როდესაც მწყემსების ნამბობს ისმენდა, მეხსიერებაში იბეჭდავდა და ხარობდა, რომ მოვლენები ღმერთის აღთქმას ადასტურებდა. წმინდა იოსებ დამწინდველი გაოცებული, კრძალვით იდგა ჭეშმარიტი ნათლის წინაშე, ბედნიერმა მწყემსებმა კიდევ ერთხელ სცეს თაყვანი ყრმა ღმერთს და მის ყოვლადწმინდა დედას და თავიანთი მორჩილების აღსასრულებლად წავიდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ ღმერთს და მთელ მხარეში ავრცელებდნენ სასიხარულო ამბავს - იმ წმინდა ღამეს მომხდარი სასწაულის შესახებ.



სომილინები

საქართველო

ოცდაერთი საუკუნის წინათ, ზამთრის ერთ ბნელ და ცივ ღამეს იშვა მხსნელი
ჩვენი და მაცხოვარი - იესო ქრისტე.

მისი შობა ასე მოხდა:

იმ დროს ისრაელი რომის იმპერიას ჰქონდა
დაპყრობილი. იმპერატორმა მოსახლეობის აღწერა
განიზრახა, რის გამოც ყველა ადამიანი იმ ქალაქში
უნდა აღწერილიყო, საიდანაც იყო წარმოშობით.
ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამს და მართალ
იოსებს მოუწიათ წასვლა დაბა ბეთლემში, საიდანაც
წარმოშობით იყო იოსები.

ბეთლემში ჩასულებს ყველა სახლი და სასტუმრო
დაკავებული დახვდათ, ვერსად იპოვეს თავშესაფარი.
მაშინ გავიდნენ დაბიდან და საქონლის ბაგაში
შევიდნენ. სწორედ იქ, ბაგაში იშვა მაცხოვარი და ამით
გვიქადაგა თავმდაბლობა.

ბაგის მახლობლად მწყემსები უცნაური
სახილველის მოწმენი გახდნენ. ზეციდან დაეშვა
ანგელოზთა გუნდი, რომლებიც გალობდა: „დიდება
მაღალთა შინა ღმერთსა და ქვეყანასა ზედა მშვიდობა
და კაცთა შორის სათნოება“. ანგელოზებმა გაოცებულ
მწყემსებს ახარეს: რას დგახართ აქ? დღეს თქვენთვის
იშვა მაცხოვარი. და აი, ნახავთ მას ბაგაში თავის

დედასთან ერთად. ამის შემდეგ ანგელოზთა გუნდი
უჩინონ შეიქმნა.

მწყემსები სასწრაფოდ გაემართნენ იმ
ადგილისაკენ, საითაც ანგელოზებმა მიანიშნეს და
იქ, მართლაც, იხილეს უბრალო სახვევებში შეხვეული
ჩვილი იესო ყოვლადწმიდა ქალწულის მკლავებში
და თავკანი სცეს მას. შემდეგ კი გახარებული
დაბრუნდნენ მინდორში და ადიდებდნენ ღმერთს, რომ
ასეთი დიდი სასწაულის ხილვის ღირსნი გახადა (ლუკა
2, 8-20).

ყოველი შობის ლამეს, ვარსკვლავის გამოჩენისა
და ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ
მოციქულების წინამორბედი, ქრისტეს მასარებელი
მწყემსები შორეული წარსულიდან დღემდე მთელს
სამყაროს ამცნობენ იმ უდიდესი საიდუმლოს
განხორციელებას, რასაც იესო ქრისტეს განკაცება
ჰქვია.

მწყემსებად გამოწყობილი ჩვენი წინაპარი
მამაკაცები, თუ ტყავის ჯუბებში გამოწყობილი

ალილო

ბავშვები, ზოგი კომბლებით, ზოგი ჩირალდნებით ხელში, ალილოს გალობით, თითოეული თანასოფლელის კარმიდამოს მოივლიდნენ და მოუთმენლად მომლოდინე მასპინძლებს ღვთის სადიდებელს - ალილოს - ხმამაღლა უგალობდნენ:

„ალილო და აქა ალილო, ალილო და აქა შობა,
ღმერთმა ბეჭრი გა ითენოთ შობა-ახალწელი წად.
ოცდასუთსა ამთვესაო, ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
ჩიტი შემოჯდა ღობესა, იძახის ქრისტემობასა.
ჩვენ მათხოვრები არა ვართ, ვართ ქრისტეს მახარობლები,
ალილო და აქა შობა, აქა ალილო“

(მესხეთი)

„ოცდასუთსა ამ თვესაო, ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
თქვენ გვაჩუქეთ გროშებით, დაგელოცოთ ბოგშებით“
(სამეგრელო)

„ოცდასუთსა და რამდენსა შობა გათენებულაო,
შობის მაღლი შეგეწოთ, ქრისტე დაბადებულაო,
ეს სახლი ვინ ააშენა, ვინ დახურა მუხის გული?
ამშენებლის დედა ცხონდეს, დამშურავის მამის სული
„კოშკიდან“ გადავიხედე, ერთო გიღგათ ქილებითა,
აღათასა, ბაღათასა, კვერცხი უნდა კალათასა,
აქა ღორი დაკლულიო, ნაჟელარი ჩვენიაო,
ნასამყდი თქვენიაო.

ზატარძალო ჩვენო ლხინო, მარნის კარი გიჭრიალებს
მარნის ქოცო აგვიხადე, ული ჩაგვიმაჭრიანე“
(კახეთი)

შობა- შობა მარიობა, შობის ახალ წელი წადი,
ჩვენ სომ მათხოვრები არ ვართ. ქრისტეს
მახარობლები გართ.
ჩიტი შემოჯდა ოლესა, იძახის მარიობასა
ღმერთმა უკედა დაგვასწროს აღდგომა „მარიობასა“
(რაჭა)

მეალილოებს ყველა მოუთმენლად ელოდა, რათა
მათგან მოესმინათ სასიხარულო ამბავი, დალოცვა და,
რაც მთავარია, ალილო.

„ალილო“ წარმოებულია ბერძნული სიტყვისაგან „ალილუია“, რაც ნიშნავს „აქებდით უფალსა“. მეალილო-მგალობლები ე.ნ. „ქრისტეს მახარებლები იყვნენ“. როდესაც ჩვენში მეალილოები სიმღერას დაასრულებდნენ, მასპინძლიანშინშეიპატიტიებდამათ ან გარეთ გამოუტანდა კვერცხს, სურსათ-სანოვაგეს, რაც გააჩნდა, ზოგჯერ ფულსაც. ზოგან, მაგალითად, თუშეთში მათ საგანგებოდ გამომცხვარი ორი დიდი ქადით „ალილოს კოტორით“ უმასპინძლდებოდნენ. მეალილოები ერთს იქვე შეჭამდნენ, მეორეს თან წაიღებდნენ. ალილოობის ბოლოს მეალილოები სადმე იკრიბებოდნენ, ზოგან ბოლო მასპინძლის ოჯახში რჩებოდნენ და ერთად, მხიარულებაში ატარებდნენ ამ ბედნიერ დღეს.

ჩვენი წინაპრები ამ საოცარი ამბით, სიხარულითა
და ვარსკვლავით განათებულ ღამეში უხვად

აჯილდოვებდნენ მეალილოებს ფულით, ფქვილით,
ერბოთი, თხილ-კაკლით, საშობაოდ დაკლული ღორის
ხორცით, ყოველივე იმით, რაც მოეპოვებოდა და რა
თქმა უნდა, კვერცხით, რომელიც შობის სიმბილოა და
რომელიც სულ მალე, ალდგომას, ქრისტეს ჯვარცმის
ნიშნად წითლად შეიღებებოდა და მეჭონეებს, ქრისტეს
ალდგომის მახარობლებს მიერთმეოდა. კვერცხით,
რომელიც ოდითგან საუცხოო საჩუქრად ითვლებოდა.
და ვაი, მას ვინც დღვენს დაინანებდა (მეალილოთა
ძღვნის გარეშე გაშვება ხალხში ფუძის უბარაქობისა
და ზიანის მომტანად ითვლებოდა) იმ მწყემსთათვის,
რომლებიც ღვლითისადაანგელოზებისაგანდა მოძღვრილ
სახარებისეულ მწყემსებს განასახიერებდნენ, ვისაც
მთელი ქვეყნისათვის ღვთისა და ანგელოზების ნებით
ადამიანთა გამოხსნის უდიდესი საიდუმლოს შესახებ
უნდა უწყებინათ.

ამას გარდა, ქრისტიანი ქართველი მოსულში,
ყოველ სტუმარში, მათ შორის, ყოველ მეალილოში
ღმერთს ხედავდა, რომელთათვის მირთმეული
ძღვნის შესანირიც იყო და საჩუქრარიც, დიდებაც და
თაყანისცემაც.

შობას წესად ძღვნის მირთმევაც სცოდნიათ.
სამეგრელოში ნათლული ნათლიას მამალს, ღვეზელს
და კვერს მიართმევდა.

გურიაში რძლის მშობლებს ანუ მძახელებს
უგზავნიდნენ დღვენს. ეს შეიძლება ყოფილიყო ხარი ან
ძროხა, ცხვარი, ინდაური, ღვინო, პურები, ხაჭაპურები
და უსათუოდ საშობაო ღვეზელი.


შობა-ახალ წელს საქართველოს სხვადასხვა
კუთხეში სხვადასხვანაირად ხვდებიან. ეს ორი
დღესასწაული ერთმანეთთან მჭიდროდ არის
გადაჯაჭვული, მაგრამ ახალი წელი და მისი აღნიშვნის
ტრადიციები მაინც შეიცავს წინაქრისტიანულ წეს-
ჩვეულებებს. დღესდღეობით შობას საქართველოში
უფრო მშვიდ გარემოში აღნიშვნავენ. ამ დღესასწაულს
ყველა საშობაო ალილოთი ეგებება. საუკუნეების
განმავლობაში ჩამოყალიბებული იყო ტრადიცია -
მამაკაცებისგან შემდგარი გუნდი ჩამოიცვლიდა
უბანებს და სიმღერით ულოცავდა შობის
დღესასწაულს. მახარობლებს ოჯახის დიასახლისი
ჩურჩხელით, ხილით და სხვადასხვა პროდუქტით
ასაჩუქრებდა. ძირითადად ეს იყო პური, შაქარი
და კვერცხი. მოგვიანებით მამაკაცები ბავშვებმა
შეცვალეს. ძღვენს კი ჩურჩხელასთან ერთად დაემატა
ფული და სხვა სახის ტყბილეული. საქართველოში
საშობაო და საახალწლო სუფრაზე სხვადასხვა
კუთხეში მისითვის დამახასიათებელ სადღესასწაულო
კერძებს ამზადებენ.

ოჯახები მთელი წლის განმავლობაში შინაგანად
მონიდებულნი იყვნენ, რომ საშობაო ალილოს
პირნათელი შეცვედროდნენ, რადგან ხალხური
თქმულების თანახმად, თუ ოჯახის რომელიმე წევრი
ღვთის გზას აცდებოდა, მათთან მეალილოები
არ მიდიოდნენ, ამიტომ ალილოს მადლი ყოველი
ოჯახისთვის მთელი წლის ნატვრა იყო.

წილობრივი ჭური რწმუნი ტექნიკის ჭური

ახალ-წლის დღესასწაული საზოგადოდ მზის ლვთაების თაყვანისცემასთან იყო დაკავშირებული. მზე, როგორც სინათლისა და სითბოს მომცემი, ყველა ძველ კულტურულ ერებში უმთავრეს ლვთაებად ითვლებოდა, რომლის დღესასწაული დღიდის ზეიმით იმართებოდა და რომელიც იმავე დროს წლის-თავის დასაწყისიც იყო.

ძველს საქართველოში, როგორც საზოგადოდ ყველგან წარმართულ ქვეყნებში, ახალ-წლის დღესასწაული დაკავშირებული იყო მზის ლვთაებასთან. ამიტომ მისი შესაფერი რიტუალიც იყო შემუშავებული. მხოლოდ ქრისტიანობის გავრცელებისას წლის-თავი წმ. ბასილი დღიდის ხსოვნას დაუკავშირეს და ამიტომ საჭირო შეიქმნა ამ დღის წარმართული წესების გარდმოქრისტიანება. მაგრამ ეკლესიამ ეს სავსებით ვერ შეძლო ჩვენში. ამ დღესასწაულს სახე მოჩვენებით გაუქრისტიანდა, მაგრამ რწმენა წარმართული შერჩა. ამის საყურადღებო მასალა




მოცემულია მეგრულ ახალწლის მიგებების წესებში, რომელსაც მეგრელები „კალანდა“-ს უწოდებენ.

კალანდას სამეგრელოში ძველად დღიდის ზეიმით ეგბებოდნენ და ამ დღისთვის პირველ ყოვლისა ამზადებდნენ „ჩი ი ჩი ა ლა კ ს“. ჩიჩილაკისთვის არჩევდნენ თხილის ან ძეგვის ხეს. ამ ხეს რამდენიმე დღის წინად მოსჭრიდნენ გრძელ ტოტს და შეინახავდნენ. კალანდის წინა დღით ოჯახის უფროსი მამაკაცი შეუდგებოდა ჩიჩილაკის გაკეთებას. საჩიჩილაკე ჯოხს ჯერ ცეცხლზე გარუჯავდნენ,

შემდეგ მას გარეკანს, რომ დარბილებულიყო და სათლელად ადვილი ყოფილიყო შემოაცლიდნენ და დაინტებდნენ გათლას. ჩიჩილაკის ნათალი უნდა ყოფილიყო გრძელი და ხუჭუჭა, რომელსაც „ნი ი ლა მურ უ რ“ ეწოდებოდა. ჩვეულებრივ ჩიჩილაკს აკეთებდნენ 1-2 მეტრის სიგრძისას, მაგრამ ზოგან უფრო შეძლებულ ოჯახებში აკეთებდნენ გრძელ ჩიჩილაკს, რომელიც სახლის ჭერამდის აღწევდა. ჩიჩილაკის სილამაზე იყო მისი თეთრი და გრძელ-ხუჭუჭა ნილამურები, რომელსაც „ბასი ი ლა ა-ს წვერი ეწოდებოდა. ჩიჩილაკს თავი ოთხად ჰქონდა გახლებილი და შიგ გაყრილი იყო ჯვარებინად წვეტიანი ოთხი ჯოხი, რომლის ოთხივე წვეტზე მიკრული იყო ანთებული სანთლები. ჩიჩილაკს ამკობდნენ ხილითა და ტკბილეულით: ვაშლებით, ბრონეულით, ჩამოჰკიდებდნენ ჩურჩელებს, კანფეტებს და სხვა. ამასთანავე ჩიჩილაკს ამკობდნენ კაკლიანი სუროთი, წითელ ნაყოფიანი კურკანთელათი, კუკუროიანი თხილისა და დაფინის ტოტებით. ჩიჩილაკს გარშემო შემოახვევდნენ აპრეშუმის ძაფს, ჩამოჰკიდებდნენ ოქრო-ვეცხლის სამკაულებს, ფულებს და სხვა. ასე მორთულ ჩიჩილაკს ოჯახის უფროსი სახლის ერთს კუთხეში მიაყუდებდა.

დიასახლისი ამ დროს აცხობდა საახალწლო კვერებს. ჯერ გამოაცხობდა ერთს დიდ ქონიან მჭადას, რომელსაც „ბასილას“-ს უწოდებდნენ. აცხობდნენ აგრეთვე ლორის ქონიან პატარა კვერებს და ამ კვერებს ოჯახის უფროსი ჩაალაგებდა გიდელში, მიიტანდა საწნახელთან და იქ ჩამოჰკიდებდა. შემდეგ გამოაცხობდნენ პატარა მოგრძო კვერებს ლორებისათვის. ბოლოს დიასახლისი გამოაცხობდა მოგრძო პურს „ღვეზელს“, რომელშიაც სდებდნენ



ეს იეო წინათ


„დაჯერჯილ“ (გამხმარ) კვერცხის გულს.

ახალ-წლის წინ ღორსაც დაპკლავდნენ და მოხარშული ღორის თავს დასდებდნენ საახალწლო ხონჩაზე, რომელზედაც იყო მოხარშული კვერები, საახალწლო „ღვეზელი“, „ბასილა“ და სხვა. ხონჩაზე მიკრული იყო ანთებული სანთლები. ამ ხონჩასაც ჩიჩილაკთან მისდგამდნენ. როცა ყველაფერი ეს გამზადდებოდა, დიასახლისი შეუდგებოდა სახლის დაგვა-დასუფთავებას და შემდეგ დაიწყებდნენ კაკლის მტვრევას და ბედ-ილბალზე მარჩილობას. აიღებდნენ კაკალს, დაარქვამდნენ ვინმეს სახელს რაიმე ნატვრით, თუ კაკალი აღმოჩნდებოდა სავსე და მთლიანი, მაშინ ის სურვილი და ნატვრა იმ პირს შეუსრულდებოდა დამდეგ წელს; თუ არა – რჩებოდა გაცურებული. დაძინების წინ ოჯახის მეკვლე უფროსი მამაკაცი ჩიჩილაკსა და ხონჩას სახლიდან გაიტანდა მარანში ან სხვა რომელიმე უფრო მოშორებით მდგარ სადგომში და თვითონაც იქ დაიძინებდა. ახალ-წლის დილას გათენებისას მთელს სოფელში ატყდებოდა თოფების სროლა. ოჯახი, სადაც მამაკაცი იყო არ შეიძლებოდა თოფის სროლით არ მიგებებოდა ახალ წელინადს, თოფის სროლა ნიშნავდა მტრებზე გამარჯვებას და თოფის ხმაზე ხალხის წარმოდგენით ფრთხებოდნენ ავი და ბოროტი სულები. თოფის ხმაზე გამოიღვიძებდა თუ არა მეკვლე, ის მაშინვე გაეშურებოდა წყაროზე, ხელ-პირს დაიბანდა და წყალსაც პირველი მოიტანდა. შემდეგ მონინებით აიღებდა ჩიჩილაკს, სანთლებს აანთებდა და დაილოცებოდა. მეორე ხელში მეკვლე დაიჭერდა ჯამს, რომელშიაც იყო ღომის მარცვალი და ზედ კვერცხი, როგორც სიცოცხლის სიმბოლო. მეკვლე ხელში ჩიჩილაკითა და ჯამით შემოუვლიდა ეზო-კარმიდამოს და დაილოცებოდა ადამიანისა და საქონლის გამრავლებაზე, კარგ და ბედნიერ ახალწლინადზე, დოვლათიანობაზე და სხვა. მეკვლე თან ღომის მარცვალსა სთესდა და ამბობდა: „ღმერთო, მრავალი ახალი წელინადი გაგვითენ ბედნიერად და დოვლათიანად, მოგვეცი საქონელი მრავალი, კარგი ჭირნახული, ადამიანის გამრავლება, ჯანმრთელობა“ და სხვა. ყველა სადგომებს ასეთი ღოცვით რომ შემოუვლიდა, მეკვლე ახლა მია-დგებოდა საცხოვრებელ სახლს და კარებზე სამჯერ დააკავუნებდა და სამჯერ იტყოდა: „კარი გამიღე“.

თეთრებში გამოწყობილი დიასახლისი დაკეტილი კარებიდან უპასუხებდა; „ვინ ხარ, რა მოგაქვსო? მეკვლე სამჯერვე უპასუხებდა: „წმინდა ბასილის

„სამეგრელო“ №1

მიმდინარეობს ეურნად „სამეგრელოს“ გამოწერა



ღომის მარცვალი

კვერცხით

წყალობა, ოჯახის მშვიდობა, ოქრო, ვერცხლი, პირუტყვის გამრავლება, აპრეშუმის ჭიის ყოფნა“ და სხვა. შემდეგ დიასახლისი მას გაუდებდა კარებს, მიულოცავდნენ ერთმანეთს ახალ-წელინადს და გადაკოცნიდნენ. მეკვლე ჩიჩილაკით ხელში და ღომის მარცვლის თესვით დაუვლიდა სახლს და დაილოცებოდა. დასასრულს, მეკვლე ჩიჩილაკს თაროზე მიაყუჩებდა, იქვე ჯამს მიუდგამდა და მიუჯდებოდა საახალწლო სუფრას, რომელზედაც ელაგა ღორის თავი, ბასილა თავისი ხაჭაპურ კვერებით, ხილი, ტკბილეული და სხვა. ამის შემდეგ ოჯახის წევრებს შეეძლოთ ადგომა და მათ საუზმის წინ მეკვლე ტკბილეულით „დააბერებდა“ და ახალ-წელსაც მიულოცავდა.

ახალ-წელინადის დილას მეკვლე პირველად შევიდოდა მარანში, სადაც ეკიდა გიდელი საახალწლო კვერებით, ჩამოილებდა ამ გიდელს, საწნახელს მიარტყამდა და დაიძახებდა: **ჩ ქ ი მ მ ა მ უ ლ ი ს ა რ გ ე ლ ი ა, შ ხ ვ ა შ მ ა მ უ ლ ს ფ უ რ ც ე ლ ი ა“-ო** (ჩემი მამული ჭირნახულით დაზიანული, სხვისი კი აჩილულიო). ზოგან, სადაც ვაზი ხარობდა, იტყოდნენ: **ჩ ქ ი მ ი ც უ რ ზ ე ნ ი ტ ი ა ნ ი ა, შ ხ ვ ა შ ც უ რ ძ ე ნ ს ფ უ რ ც ე ლ ი ა“-ო** (ჩემი ვაზი მტევნიანი, სხვისი მხოლოდ ფოთლიანიო). ამის შემდეგ საწნახელს მიადგებოდნენ ბავშვები, ურტყამდნენ მას ჯოხებს და იმეორებდნენ მეკვლეს სიტყვებს. მარნიდან მეკვლე კვერებით მივიდოდა საღორესთან და იქ დაილოცებოდა ღორების გამრავლებაზე. დასასრულს ამ კვერებს მაღლა აისროდა, ბავშვები კვერებს აკრეფდნენ და ვინც მეტს გაიტაცებდა, იმ წელინადს იგი გამარჯვებული იქნებოდა.

ახალ-წელინადს დილიდანვე დაინწყობდა ერთმანეთში სიარული და ახალ-წლის მილოცვა. თან მიჰერნდათ თუთის წნელები, რომელსაც ამბორით გადასცემდნენ დიასახლის. ახალ-წელინადს ხელცარიელი ერთმანეთთან არ გადავიდოდნენ და თან მიჰერნდათ რაიმე ტკბილეული.

სერგი მაკალათია.

**მასალები მოგვანილია
მარა კონსალტინგ კაზარავამ**

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9

9</b

19 იანვარს ერისტიანული სამყარო ნათლისლებას აღნიშნავს



ეკლესიას უერთდება. საიდუმლო კი მადლის უხილავ მოქმედებაში მდგომარეობს: წყალი სხეულს განნებნდს, სულინმიდა კი გონებისათვის მიუწვდომლად თვით სულს განპანს. განა ეს საკვირველია? – უბრალო მაგალითი მოვიშველიოთ: როცა ცეცხლი რკინის სიზრქეში შედის, ყველაფერი ცეცხლად იქცევა. ამ დროს ცივიც ცხელდება და შავიც ნათდება. თუკი ნივთიერი ცეცხლი რკინაში შეღწევისას ასე დაუბრკოლებლად მოქმედებს, რაღა გასაკვირია, რომ სულინმიდა სულის სილრმეში აღწევდეს? (კირილე იერუსალიმელი).

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება – ძე ნათელს იღებდა, სულინმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათხო ვიყავ“.

ტრაპარი:

რაჭამს იორდანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამებისა თაყვანისცემა გამოსჩნდა, რამეთუ მამისა ხმა გენამებოდა, და საყუარელად ძედ სახელ-გდვა შენ, და სული წმიდა სახითა ტრედისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელობასა, რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა.

პრიდაკი:

განცხადე დღეს ყოველსა სოფელსა და ნათელი შენი უფალო ან მოისახა ჩუენ ზედა, მეცნიერებით მცნობთა მათ შენთა და განსცხადენ ნათელო შეუხებელო.



27 იანვარი მოძევა ნინოს ქადაგის დღე



საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, დღეს მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ხსენების დღეს აღნიშნავს. წმიდა ნინო წარმოშობით კაბალევის ქალაქ კოლასედან იყო. მისი მამა - ზაბულონი საფრანგეთის განმანათლებლად ითვლება. მოციქულთა სწორი ქალწული ნინო საქართველოში, დაახლოებით, 323 წელს ჯავახეთის მთებით შემოვიდა. მას ღვთისმშობლის მიერ ბოძებული ვაზის ჯვარი ეპყრა ხელში.

წმიდა ნინო ფარავნის ტბასთან ორი დღე შეჩერდა და
მეთევზურთაგან მირთმეული საკვებით ძალა მოიკრიბა.
დასასვენებლად მინაზე მინოლილს ძილში ბრნყინვალე კაცი
ეჩვენა, რომელმაც დაბეჭდილი წერილი მისცა და უთხრა,
რომ წერილი წარმართთა მეფისთვის მიერთმია, რადგანაც
ამისთვის იყო მოვლენილი. წერილის თავში რომაულად
იქსოს სახელი ენერა და, როგორც მოსეს ქვის ფიცრებზე, ათი
სიტყვა იყო დაწერილი.

ქართველთა განმანათლებლისა და მოციქულთა სწორის, წმიდა ნინოს ქადაგებით, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიიდ 326 წელს გამოცხადდა. ამ დროს სამითო ტახტი მათე მირიანსა და თაოთათალ ნანას ეპისკოპოსი.

ခုနှစ် ၂၀၁၅ ခုနှစ် ၂၀၁၆ ခုနှစ် ၂၀၁၇ ခုနှစ်

...და ვითარცა ვიქმენ მე ათორმეტის წლის, მშობელთა ჩემთა განყიდეს ყოველი, რაცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალემდ. მაშინ მამამან ჩემმან დაინერა ჯუარი პატრიაქისაგან და განიჯმანა დედისაგან ჩემისა. და შემიტყო (ჩამისუტა) მე კვერდსა მისსა და დამალუარნა, ვითარცა ღუარნი, ცრემლნი თვისნი თუალთა და პირსა ჩემსა. და მრჯეა: „შენ მხოლოვო ასულო ჩემო, ესერა დაგიტევებ შენ ობლად ჩემგან და მიგითუალავ შენ ღმერთსა ცათასა, მამასა ყოველთა მზრდელსა და უფალსა, რამეთუ იგი არს მამა ობოლთად და მსაჯული ქურივთად. ნუ გეშინი, შვილო ჩემო! ხოლო შენ მაგდანელისა მარიამის შური ალიღ სიყუარულისათვის ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესთა. და თუ შენ ესრეთ გეშინოდის მისა, ვითარცა მათ, მან ეგრეთ მოგცეს ყოველი, რაცა სთხოვო მას, ოდეს რა გინდეს მისგან“. და მომცა აბბორებად საუკუნო და წარვიდა წიაღ იორდანესა კაცთა მათ თანა ველურთა, რომელ-რა ყოფაც მისი

იცის მისმან უფალმან იესუ.

მოქცევად ქართლისად, შატბერდის კრებული

ତିର୍ଯ୍ୟକାରୀ:

სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

პონდაპი:


მოციქული ქრისტესგან გამორჩეული, ქადაგი სიტყვისა ღმრთისა განსწავლული, მახარებელი ცხოვრებისა, ნინამძღვარი ქართველთა ერისა გზათა სიმართლისათა, დედისა ღმრთისა საკუთარი მოწაფე ნინო შევამკოთ დღეს ყოველთა ძნობითა საღმრთოთა, მეოხე მხურვალე, მცველი დაუძინებელი.

ტრადიცია

საქართველო

ჩირილაკი

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში სიცოცხლის ხის ვარიანტები ფართოდაა გავრცელებული და ჩირილაკიც მიჩნეულია ამ ხის ერთ-ერთ სიმბოლოდ. იგი, როგორც ხვავრიელების სიმბოლო, მზადდებოდა წლის განახლების დღესასწაულზე. მოჭრიდნენ თხილის მომსხო ჯოხს, გაახურებდნენ ცეცხლზე და იწყებდნენ ბურბუშელას აცლას იქამდე, სანამ მთელი ღერო არ დაიფარებოდა საფარით, ე.ნ. „ბასილის“ წვერებით. გავრცელებული ყოფილა აგრეთვე ამ ხის მორთვა-მოკაზმვა, სხვადასხვა საგნებით - სამკაულებით, ნაკეთობებით, ხილით, ჭრელი წინდებით, ფერადი აბრეშუმის ძაფებით. ჩირილაკის გავრცელების არეალი დასავლეთ საქართველო იყო. ამჟამად ის მთელ საქართველოშია გავრცელებული და ახალი წლის ერთერთ სიმბოლოდაც არის მიჩნეული.



გოზინაყი



გოზინაყი საახალწლო სუფრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნუგბარია. გოზინაყს ძირითადად ნიგვზისაგან ამზადებენ. ოჯახში ტრადიციულად ერთ ადამიანს ევალება ამ სადლესასწაულო რიტუალური ტკბილეულის დამზადება. საგოზინაყედ არჩევენ ლია ფერის დიდ ჯანსაღ ლებნებს, თხლად ჭრიან, ხალავენ და რამდენიმეჯერ ადულებულ და გაციებულ თაფლში ურევენ, შემდეგ აბრტყელებენ ხის დაფაზე და რომბულ ნაჭრებად ჭრიან.

ჩურჩელა

ქართული საახალწლო სუფრის მშვენებაა ჩურჩელა — რომელსაც ნიგვზისა და ბადაგის — ყურძნის დადუღებული წვერისგან ამზადებენ. ჯერ ბადაგისა და პურის ფქვილისგან თათარას მოადუღებენ და შემდეგ ძაფზე აცმულ კაკლის აჭრილ ლებნებსა ამოავლებენ, გაკიდებენ ხარიხაზე და ჰაერზე აშრობენ. ჩურჩელების ამოვლების რიტუალი რთველის შემდეგ ტარდება და ყველასათვის საკუარელ საოჯახო დღესასწაულად ითვლება. კაკლის მთლიანი გულისგან გაკეთებულ ჩურჩელას „გორგომიჭელას“ ეძახიან. ჩურჩელა ძალზე კალორიული და ნოყიერი საკვებია, ამიტომაც ძველად საქართველოში მას ომში წასულ მეომრებს საკვებად ატანდნენ.



ტრადიცია

მ ა ზ ა გ ვ ა

ახალი წელი



ქართულ სახალხო-რელიგიურ დღესასწაულებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ძველი წლის გაცილებისა და ახალი წლის დადგომის ცერემონიალს. ახალი წლის შეხვედრის რიტუალი წარმართული დროიდანაა ცნობილი. სარწმუნოებრივ შეხედულებათა ცვალებადობის მიხედვით იცვლებოდა ახალი წლის შემოსვლის დრო და რიცხვი. ახალი წლის პირველ დღედ 1 იანვარი XVII საუკუნიდან დაწესდა. ახალი წლის შეხვედრას საქართველოში გარკვეული წესი ჰქონდა, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მაგიურ ელემენტებს: თოფის გასროლას, ჩიჩილაკს, მეკვლეს, საახალწლო სუფრასა და ლექს-სიმღერებს. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მიიჩნეოდა მომდევნო წლის განმავლობაში ბედნიერებისა და მატერიალური კეთილდღეობის განმსაზღვრელად.

ზედობა (კურსა)

ქართული ტრადიციის მიხედვით, 15 იანვარი ბედნიერების დღეა. დასავლეთ საქართველოში მას კურსას უწოდებენ. ამ დღისთვის ირჩევენ მეკვლეს (ფეხადს), ანუ ადამიანს, რომელიც ოჯახში პირველი შეადგამს ფეხს ახალი წლის დადგომის მერე. მეკვლემ უნდა მოიტანოს საჩუქრი (ტკბილეული), გაისროლოს თოფი და დაანთოს ბუხარი, რათა ბედნიერება დააბედოს ოჯახს. ამ ტრადიციას ეძღვნება ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი „კურსი ბედნიერი“.




საახალწლო ცუვრა

ქართული სუფრა, მით უმეტეს, თუ კი იგი საზეიმოდ იშლება, საცივის გარეშე წარმოუდგენელია. ტრადიციაა, რომ საახალწლო სუფრას ინდაურის საცივი უნდა ამშვენებდეს. ასევე, შემწვარი გოჭიც. საახალწლო სუფრას საცივის გარდა ამშვენებს ხაჭაპური. საქართველოში ძალიან გავრცელებულია ნიგზიანი საჭმელები, ძირითადად ფხალეული. მჭადი, ღომი, ლარჯი დასავლეთ საქართველოშია პოპულარული, ძირითადად სამეგრელოში. მნვადი სუფრის მშვენებაა. სუფრაზე ის შემოაქვთ როგორც შამფურზე აცმული, ასევე, კეცზე შემწვარი.

ჯვრის მუზეუმი

ქართული მუზეუმის ენციკლოპედია

მუზეუმის კვეთი



ՀՐԱՄԱՆ ԿՅԱԿԱՊԵԱ ԸՆԹԱՅԻԿ ՖԱՆՏԵՇՈՒԱ ԹՀԱԽՈ ՇՐՋԱ-ԼԵԱԼ ԵՎԼԵ

31 დეკემბერია. ღვთისმშობლის წილხევდრი ქვეყნის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში, წალენჯიხაში სოფ. ჯვარი მართლაც ჯვარგარდასახული დგას სხვა კოლხურ დასახლებათა შორის. თოვს. ხვავრიელად თოვს. თითქოს ფანტელები ოცნების ბადეს ქსოვენ, რომელთა ლაპირინთებშიც სარკმლიდან მომზირალი გოგო-ბიჭები თოვლის ბაბუის საჩუქარს ელოდებიან, ცათამწვდომი ნაძვნარი დრომ და ჟამმა რომ მხრებში მოხარა, ხანდაზმულნი, ბედს დამორჩილებულნი დგანან უხმოდ. შეციებული ბეღურები აქამდე მიჩვეული სახლის სარკმელს არ შორდებიან. ჭანტურიების დარაბებს მიღმა გარემო სივრცისგან განსხვავებით სითბოსა და სიყვარულის კოცონი გიზგიზებს. ლუარა, ლადო და რევაზი ლამის გოზინაყის ქვაბში ჩაცვივდნენ, ქალბატონი ნუცა განსაკუთრებული სამისით კაზმაეს შვილებს და ოჯახი მეკალუეს შემობრძანებას ელოდება.

და-ქმანის სიხარულს საზღვარი არა აქვს. გემრიელი სადილი ლუდოვიკოს და ნუცას ოჯახს



ლუდოვიკო ჭანტურია




ଶ୍ରୀକୃତ ଓ ଶ୍ରୀକୃତିନ୍ଦ୍ର

ბეგლარ ჭანტურია და თამარ ალშიძაია

ოჯახი ყოველ ახალ წელს ტრადიციულად ჯვარში იკრიბებოდა; აპოლონი, მიხეილი და შოთა ოჯახებთან ერთად მამისეულ კერაზე ხვდებოდნენ დღესასწაულს. და აი, ღობის მიღმა ხმა გაისმა, — მეკვლე ვარ, კარი გამიღეთ. ოჯახში ფუსფუსი ატყდა, დიდ-პატარა მეკვლეს დასახვედრად ემზადება. ამასობაში მეკვლე სახლის კართან

(გამოცემა გ3.16)

ოჯახი



СВИДЪТЕЛЬСТВО

Дано сие изъ Кутаисского Дворянского Собрания жителя
Кутаисской губерніи, *Людвигу Георгиевичу Чичину*
Александру Николаевичу Чичину
на основании ВЫСОЧАЙШЕ утвержденныхъ правилъ, определяющихъ порядокъ признания въ княжескомъ и дворянскомъ Российской Имперіи достоинства жить принадлежащихъ къ высшимъ сословіямъ бывшаго княжества Мингрелии, въ томъ что они, по постановленію сего Собрания, состоявшемуся
20 Сентября 1894 года и утвержденному Указомъ Правительствующаго Сената, по Департаменту Герольдіи 18 Ноябрь 1897 года
за № 3531 признанъ *Князь-Семисточинскій Российской Имперіи* обладающимъ достоинствъ и внесенъ въ *часть дворянской родословной книги Кутаисской губерніи*; въ чмъ Кутаисское Дворянское Собрание подпись и приложениемъ печати удостовѣряетъ.


Г. Кутаистъ *Луцкъ*, 15-го Июня 1898 года.




ჭანტურიები სულ—6698, თბილისი—1188,
აბაშა—1226, ზუგდიდი—867.

ჭანტურიათა გვარის ატიმოლოგიასთან
დაკავშირებით, რომ რომაელთა ჯარის სანტურიანი
ანუ ასისთავი კოლხეთში დაოჯახებულა და მისი
შთამომავლობისათვის უწოდებიათ სანტურია,
რაც შემდეგ ჭანტურიად გადაქცეულა (კ. კაპანელი (ჭანტურია).

ჭანტურიების გვარის განსახლების ძირითადი
არეალია ჯვარი, საიდანაც მიგრირება მომხდარა
ქვემო სამგრელოში XVIII საუკუნის პირველ
ნახევარში. გვარი სათავეს იღებს XVII საუკუნეში,
რაც დამოწმებულია სვანეთის ნერილობით
ძეგლებში.



ოჯახი



ჭანტურიების ოჯახი

მოვიდა. ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — ვინა ხარ? გაიძახოდნენ ერთხმად. ოჯახმა ფეხ-ბედნიერი მეკვლე სავსე ხონჩით ხელში სახლში შეიყვანა. კერა დაალოცვინა და მადლით აღვსილი უკან გაისტუმრა. ასე გრძელდებოდა წლები. ბავშვებს კი მშობლები საჩუქრებით ანებივრებდნენ. პატარა ლუარას კარგად ახსოვს დედამ თვითნაკეთი თოჯინა რომ აჩუქა. არც ის დავიწყებია ბაბუა გიორგიმ (მიქავა) რომ მის თოჯინას ლამაზი აკვანი გაუკეთა.

ჭანტურიების ოჯახი სოფელში სამაგალითო იყო. მათ სახლს “წიგნის სამყაროს” ეძახდნენ, საიდანაც მხოლოდ ცოდნის ნიაღვარი იღვრებოდა და ბავშვები წიგნიერების კოცონში იწრთობოდნენ. მათვის წიგნი ყველაზე საპატიო ნივთი გახლდათ. მამა, ლუდოვიკო ჭანტურია, სურსათ-სანოვაგესთან



პატარა ლუარა ჭანტურია

ერთად ყოველ დღე შინ ახალ-ახალი წიგნებით ხელში ბრუნდებოდა. პროფესიით ისტორიკოსი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ომის ვეტერანი, წარჩინების მედლის მფლობელი, წლების მანძილზე სოფელ ჯვარის | საშუალო (ინტერნაციონალური) სკოლის დირექტორი იყო. შესანიშნავად ფლობდა რუსულ და გერმანულ ენებს.

ომგამოვლილმა ვაჟკაცმა ქართულ ზნე-ჩვეულებასა და ტრადიციებზე აღზრდილი, შეძლებული ოჯახის შვილი, გიორგი მიქავას ულამაზესი ქალი, ნუცა მიქავა შეირთო ცოლად. მტკიცე ოჯახი შექმნეს, სამი ლირსეული ინტელექტუალი აღუზარდეს ქვეყანას.

მშობლებმა, ბეგლარ ჭანტურიამ და თამარ ალშიბაიამ მყარ და ლირსებით აღვსილ ოჯახურ ფუძეზე დალოცეს ლუდოვიკო, შემდგომ კი მათი ლოცვა-კურთხევითა და შთაგონებით აღვსილი წლების მანძილზე თავადაც მოძღვრავდა საკუთარ შვილებსა თუ მოსწავლეებს. ხომ გაგიგიათ კარგი წყლის კარგი ყინული დგებაო. თამარი თავადთა



და-ძმანი ჭანტურიები: ლუარა, ლადო, რევაზი

წრის წარმომადგენელი იყო, ბებია შერვაშიძე ჰყავდა, აქედან გამომდინარე შვილებს ძიძასთან ზრდიდა, მხოლოდ ლუდოვიკოს მოუწია იჯახში აღზრდა, როგორც ყველაზე უმცროსს. თამარი საუცხოო ქალი ყოფილა, განათლებული, ზნე კეთილი, კდემამოსილი.

ბეგლარ ჭანტურია კი წოდებით აზნაური გახლდათ, აზნაურობის დამადასტურებელი სიგელი დღემდე ჭანტურიების საოჯახო არქივში საპატიოდ ინახება, უნიჭიერესი კაცი ყოფილა, „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად სცოდნია.

ოჯახი



ლუარას დედა — ნუცა მიქაელა



ლუარა ჭანტურია დედასთან — ნუცა მიქაელასთან ერთად

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ მათი ვაჟი ლუდოვიკო ჭანტურია ასეთი მწიგნობარი გამოსულიყო. ცნობილი წიგნიერებით, კულტურით და რაც იმ დროისათვის ყველაზე გასაკვირი იყო, მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკით. მათ ოჯახს კეთილშობილ „კარცერი ლუქს“ ეძახდნენ, სადაც უამრავი ნიჭიერი თაობა იწრობოდა. უყვარდა პოეზია, წერდა ლექსებს, ქმნიდა წიგნებს.

აი, ამ ფესვებზე აღიზარდნენ ლუარა, ლადო და რევაზი. ლადო ჭანტურია მსოფლიო დიპლომატიური კორპუსისათვის კარგად ცნობილი და პატივსაცემი ადამიანია. ლუარა ჭანტურია არის ქალბატონი, რომელიც რუდუნებით ეფერება თავისი ოჯახის ლირსეულ წარსულს და დღევანდელობას, ხელთ საბავშვო პოეზიის ქნარი უჭირავს და თითოეული პატარის სულს ელამუნება. გაბრწყინებული ინტელექტითა და ზნეობით. ხუთი საბავშვო ლექსებისა და 1 პოეტური კრებულის ავტორია.

კვიცი გვარზე ხტისო, ნათქვამია. ჭანტურიები ოქროს კვალს ტოვებენ მსოფლიო თუ ქართულ ცნობიერებაში. არც მშობლიურმა კუთხემ დაუკარგათ ამაგი. ყოფილმა მოსწავლეებმა და კოლეგებმა მოითხოვეს, რომ ცოტა ხანში ჯვარის I საშუალო სკოლას ლუდოვიკო ჭანტურიას სახელი მიანიჭონ.

მაღლე მეოთხველი იხილავს საიუბილეო წიგნს „ლუდოვიკო ჭანტურიას ცხოვრება და მოღვაწეობა“.

ღმერთმა დალოცოს ჭანტურიების დიდი ოჯახი, რძლებით, შვილებით, შვილიშვილებით დამშვენებული.

მრავალ ახალ წელს!

ნინო რახვანაშვილი



ლუარა ჭანტურიას შვილიშვილი
ალექსანდრე ბაკურაძე



ლუარა ჭანტურიას შვილიშვილი
გაბრიელ ჭანტურია

გვირებების

გამზირის

გოლუმების

ჩატვირის

ცხრილების



ქალი მშვენიერების მიწიერი გამოვლინებაა. თუ ბუნებით ქალი ლამაზია, მაშასადამე ბუნებამ და გენმა მისდაუნებურად საჩუქარი გაუკეთა, ჭკვიანი ყოველთვის აცნობიერებს ამ მადლის ფასს, ფასს გარეგნული და სულიერი სიმფონიური ულერადობისას. ჭკვიანმა ქალმა კარგად იცის ვიოლიონოს გასაღების არსი, მისი სულის ჰანგები ხომ კარგად აწყობილ ვიოლინოს ხმებს გამოსცემს, სული გულს უსმენს და გული გონებას. მადლიერია ამ ღვთიური საჩუქრისა, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით, სიფრთხილით და სიფაქიზით ეპყრობა.

სულით რომანტიკოსი მუზების შემოტევას ვეღარ გავუმელავდი, როდესაც ფოთში ჩემი სტუმრობის დროს ამ პატარა ჩანახატის გმირი ვიპოვე. ლამაზი? -არა, ეს ის სიტყვა არაა, სხვანაირად ლამაზი, სათნოებით აღვსილი და მზისგან პირნაბანი, სხივნათელი სახით მომზირალი.

ნინო ბაკურაძე ყველასგან განსხვავებულია. იყ, როგორც ხალხში იტყვიან, იმდენად ეფექტურია, ათას ქალში გამოარჩევო.

თვალი დავადგი და იქვე გონებაში აზრმა მისი ფაბულის ბადე მოქსოვა. ამ ბადის ლაბირინთებიდან რომ გავიჭყიტე კიდევ უფრო დიდი ხელოვნების ხელთუქმნელი სახე დავინახე, სხეულის სილამაზე მეტაფოზიური მოვლენაა, მას ისევე უნდა აღქმა, წვდომა, მოპყრობა, როგორც ხელოვნების ნიმუშს. საკუთარი სილამაზის სიბრძნეს ნაზიარები ქალბატონი ნიხო ღვთიურ მადლს ასხივებს, მისი სიყვარული დიდ სულიერ სილრმეებს სწვდება, სითბო და სინათლე




ქალია ღილა, მიწა,

- ქალი საღამო,

- ქალი, წეიმა ქალა...

კელაზერი ქალიგით მოვებარეს...

/ გ. მაჭავარიანი? / .



ქალი



შემოაქვს თავის ირგვლივ. ეს ის შემთხვევაა, როცა სილამაზეა რის ფასეულობა, რომელიც შეიძლება დაუკავშირდეს სიბრძნეს.—აი, ასე იცნობენ ქალბატონ ნინოს ფოთში. ძნელია მის სახლთან მიხვიდე და გაჭირვებულ, შემწეობის მთხოვნელთა რიგი არ დაგხვდეს, იციან ნინოს ფასი, მისი გულის კარნახის კარგად წამყითხველნი არიან. ითხოვენ და ქალბატონი ნინოც უშურველად გასცემს. მის ქველმოქმედებას მიწიერი სამსახური ჰქვია, ის უფალმა დანიშნა და რჩევა მისცა. ქალბატონი ნინო ხომ ღმერთის რჩეულია, ასე აღზარდეს მშობლებმა, უფალმა რაღაც სახით სიკეთის ნაპერნკალი უბოძა, ნინომ კი გამოცდა წარმატებით ჩააბარა — გასცემს და მადლს არ წონის.



ბებია და შვილიშვილი,
ნინო ბებო და ლუკა მირცხულავა

“სამუზეულო” №1

მიმდინარეობს ეურნად „სამეგრელოს“ გამოწერა



ნინო ბაკურაძე წარმოშობით რაჭველია, ონის რაიონიდან. მართალია საკუთარი კუთხის შესახებ ბევრი რამ არ იცის, ის ბაკურაძეების ოჯახის უკვე მეხუთე თაობაა, ვინც თავის დროზე რაჭიდან წამოვიდა, მაგრამ კარგად აცნობიერებს კუთხის სიდიადესა და რაჭველი ხალხის ფასდაუდებელ ღირებულებებს — სიბრძნეს,

სიდინჯეს, გონიერებასა და შორსმჭვრეტელობას. ამბობს ჩემში იმდენად შერწყმულია რაჭულ-მეგრული გენების ერთობლიობა, რომ საჭირო დროს ხან მეგრელობას ვგრძნობ და ხანაც რაჭველობას. სისხლის ყივილი თავისას შვრება, გენი არ იკარგებათ. თბილისში დაიბადა, მაგრამ იმის გამო, რომ დედა ფოთელი იყო, ოჯახი ფოთში დასახლდა. აკადემიური განათლებაც მიიღო. თუმცა ლამაზი, ცქრიალა გოგონა მეგრულ თვალს შეუმჩნეველი არ დარჩენია და ჯერ კიდევ 17 წლისაც არ იყო, როცა მეუღლე გახდა. უმალვე ვაჟი შეეძინა. მოხდა ისე, რომ ინსტიტუტის დამთავრების დროს შვილი სკოლაში შეიყვანა, თითქოს დედა-შვილმა ბავშვობა ერთად განვლო, ამბობს, რომ პატარა ასაკმა მეტად შეუწყო ხელი

შვილებთან დაახლოებაში, მან ბავშვებიმეგობრულად აღზარდა, მათი დამოკიდებულება არა მკაცრი, არამედ შეგნებული და გააზრებული იყო. შვილებს წიგნი შეაყვარა და სამყაროს საიდუმლოს ენა ასწავლა; — ქვეყნის სიყვარული და ერთგულება, კაცთმოყვარეობა, შეწყალებისა და მადლის გაცემის უნარი დაანათლა.

დღეს ქ. ნინო ორი უჭვიანესი ვაჟების დედა და ერთი შვილიშვილის, პატარა ლუკას ბებია. ამავე დროს იგი ფოთის პროფესიული სწავლების ცენტრ „ფაზისის“ ხელმძღვანელია, ზრდის თაობებს და გადასცემს ერს და ქვეყანას.

უყვართ, პატივს სცემენ და აფასებენ. ფოთელებისთვის ნინო ბაკურაძე საამაყო რძალი, ღირსეული დედა, კეთილშობილების გამოვლინებაა. ის ხომ მზესავით იწვის და ანათებს. მის სხივთა ფრქვევა მოზღვავებული სიკეთის სახით ფოთელთათვის სითბოსა და შვების მიმნიჭებელია.

მადლი მის გამჩენს და დედა ბუნებას, ვინც ამ ლამაზ სხეულში ლამაზი სული ჩააქსოვა.

მრავალ ახალ წელს, ბედნიერად, ქალბატონო ნინო.

ნინო რევიზიონი



ქართველი კალი

როვან როვან



ლევან ლოგუა

სამოცდართი წლის წინ, როდესაც ჯერ კიდევ საახალწლო ეიფორია არ განელებულა, საჯიმალოში თოფი გავარდა, 10 იანვარს, გამთენისას საქართველოს მომავალი ვარსკვლავი დაიბადა, პატარა ლევან ლოგუა მოევლინა ქვეყანას! ჩვილობიდანვე გამორჩეული აღნაგობით, საზრიანობით, ნიჭითა და გონიერებით თითით საჩერებელი შეიქმნა მთელი დასავლეთ საქართველოსთვის. ცელქი, მოუსვენარი ბავშვი იყო, მისი მიზანსწრაფვა არტისტულობით განისაზღვრა,

ბავშვობიდანვე მონაწილეობდა ზუგდიდის ქალალდ-კომბინატორი არსებულ თეატრალური დასის სპექტაკლებში. არაჩეულებრივ ნიჭის ავლენდა მხატვრულ კითხვასა და ორატორობაში. ლამაზი იყო, მოხდენილი, ისეთი, თვალს რომ შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ამას დაემატა ნიჭი და ლევანმა თბ. შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში გამოცდები წარმატებით ჩააბარა. უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავდა. გოგონები ლია დარაბებიდან თვალთვალობდნენ, მონიფულ ვაჟეაცს, რომ ერთხელ კიდევ შეევლოთ თვალი და მისი ყურადღება მიექციათ. ყველას ძალიან უყვარდა, ინსტიტუტში, სამეცნიეროში, სანათესაოში. რასაც მისი შინაგანი სუფთა სული, დიდი გული და მაღალი ზნეობა განაპირობებდა, “თეთრი შურით აღესილნი” რომ იტყვიან, ნეტა შენს დედასო, აი, ასეთი ვაჟეაცი გახლდათ ლევან გოგუა.

ერთი წელი სამხედრო სავალდებულო სამსახური შორეულ აღმოსავლეთში იმსახურა.

ჯარიდან დაბრუნების შემდეგ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ითამაშა, ამის შემდეგ კი

სიცოცხლის ბოლომდე სოხუმის კ. გამსახურდიას სახ. დრამატული თეატრის მსახიობი იყო.

უამრავი როლის განსახიერება მოასწორო: გადაღებულია დ. რონდელის ფილმებში „საპარო ხიდი“, ასევე მოსფილმის მიერ გადაღებულ ფილმში „ლამე ჩილეში“, რომელმაც საერთაშორისო კინოფესტივალზე დიდი მოწონება დაიმსახურა. „მტვერი გზის ქვეშ“, „ბოშები“ — რეჟ. მ. ქავთარაძე, „დიდოსტატის მარჯვენა“, „ელადოსი“, „უკანასკნელად კივის მატარებელი“ — ანდრია, „ფსკერზე“ — მხატვრის ბიძა, „მარადისობის კანონი“ — ჩეკისტი



სპექტაკლიდან „უკანასკნელად კივის მატარებელი“


კვალდა კვალ



ლევან ლოგუა მოსკოვში

და მრავალი სხვა... მხოლოდ აფხაზეთის ომის სპექტაკლში ვერ ითამაშა, სამწუხაროდ, აქ მეომრის როლი რეალობად ექცა და უკვალოდ გააქრო ეს ვეება ვაჟაპატი.

მთავარი როლი მოირგო, ვერ წარმოედგინა თუ დამარცხებოდა, ბოლომდე იდგა სოხუმის დაცვის სადარაჯოზე, ბოლო წუთამდე ცდილობდა სხვებიც გაემხნევებინა და მტერს არ დაწერებოდა, მაგრამ ღმერთსაც კარგი უნდაო, ნათქვამია, ერთგულება ერთგულებად დარჩა, პატრიოტიზმა მისი სახელი განაპირინა, როლი კი, სამწუხაროდ, რეალობად იქცა. რეალობად, რომელმაც არაერთი დედა აატირა, მათ შორის უბედური ქალი, ლევანის დედიკო სოხუმს არ ტოვებდა, შვილს ელოდა, სიცოცხლის ბოლომდე მეომარი შვილის მოსვლაზე ოცნებობდა, ელოდა, ელოდა და ამ ლოდინში აღმოხდა სული. ლევანი კი



სპექტაკლიდან „ძალად ექიმი“

გაქრა, როგორც ნაადრევად ჩამოვარდნილი ფოთოლი შემოდგომისა.



იყო და არა იყო რა... ასეა სამწუხაროდ, იყო მზე ჭაბუკი, ენაწყლიანი, ნიჭიერი, მოწე-სრიგებული, ნიგნის უზადოდ მოყვარული, მეგობრებისთვის ხელი-ხელ საგოგმანებელი და გაპერა მიწისაგან პირისა, გაპერა ისე, რომ საფლავიც არ დარჩა, ეს უდიდესი ტრაგედია ძნელად მოსასმენი და გასათავისებელი აღმოჩნდა ახლობლებისთვის. სოხუმის თეატრში მისული უწყება ლევან ლოგუას გარდაცვალების შესახებ კიდევ ერთი ტყვიამფრქვევის გავარდნას ჰგავდა, ვერ იჯერებდნენ, არ იჯერებდნენ, დასტირობდნენ და შვებას ვერ პოულობდნენ.

რას იზამ, დღეები კამათელივით ბრუნავს, ლევანს სამი შვილი დარჩა: სალომე, ლია, ლაშა. ჰყავს ერთი შვილიშვილი, სალომეს ვაჟი ნიკა მითაიშვილი, რომელიც ბაბუის კვალს გაჰყვა, იგი თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტია.

ლევან ლოგუა წელს 61 წლის გახდებოდა, მისი სიცოცხლის ჩირალდანი კი 38 წლის ასაკში ჩაქრა. თუმცა ლევანის მარადიული ხსოვა მუდამ ენთება ახლობლებისა და მეგობრების გულში. ამ ქვეყნად უკვალოდ არაფერი ქრება...

ლევან ლოგუას განვლილი გზა ოქროს ნაკვალევია საქართველოს ისტორიაში.


6060 რეციტაცილი



„დიდოსტატის შარჯვენა“ გირშელი



კონსტანტინე გამსახურდიას ქალიშვილი ნათელა გამსახურდია და ლევან ლოგუა



შვილიშვილი ნიკა მითაიშვილი



გიგანტის სისტემი

მიმდინარე მუზიკის მომღერლების გარე

სუსხიანი თებერვლის მიწურულს და გიუ-
მაჟი მარტის გასაყარზე დაიბადა. ღმერთმა
რჩეულად მიიჩნა, მიხედა, პირველი გარდასახა
და ღვთისმშობლის ხელის გულზე გაუშალა
სარეცელი. რჩეულად-მეთქი, ვთქვი, ასეა, სწორედ!
გულში მზე ჩაუსახლა, სულში კელაპტარი აუნთო.
ცხოვრებისეული ტაბლა გახსნა და ნიჭიერებით
მოსილი ფარდაგი შემოახვია შარმათ. არავინ
იცოდა როგორ შეეთვისებოდა ერთურთს ეს
ყოველივე, მაგრამ დრომ, რომელიც წესისამებრ ავ-
კარგიანობის მოციქულია, დრომ მისცა ზეობის არსი,
ფესვმაგარი მუხასავით გაიტოტა მასში ნიჭიერება,
გოგლასეული ნატერის ხესავით მრავალფეროვანი
გახდა მისი შესაძლებლობები, რომელიც გაშლილ,
90°-იან კუთხესავით სწვდება ჰორიზონტს. ათას
სიგიფეს სჩადის, როგორც ამას თანამედროვენი
ამბობენ, ამ სიგიფეშიც კი სიბრძნე დევს სწორედ.
კალამი - სხარტი და მრავალწახნაგოვანი,
აღნაგობა - აწვართული და ათლეტური,
გული - მზის აკვანი, სული -
კელაპტარი, გონება

- ცათა მწვდომი... ამბობენ, მზეს გავს და მზეს არ
ეპაეჭრებიანო (ვახტანგ ლლონტი), თუმცა ხშირ
შემთხვევაში პლანეტათა შორისაც ირღვევა ბალანსი,
მასთან შეტაკებით ხან კატაკლიზმებს ვიწვრევთ,
ხანაც წმინდა, ადამიანურ შენდობა-დანდობის
მოწმენიც ვხდებით...

ალბათ გიკვირთ, ვინ არის ამ მონოლოგის
გმირი? - რჩეული, ღვთისგან ხელდასმული და
ნიჭიერებით გაბრწყინებული, ჩვენი დროის უდიდესი
ნოველისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე
გივი სიხარულიძე. მას ნიკო ლორთქიფანიძის პრემია
ამშვენებს, მის წიგნებს მსოფლიო კითხულობს,
იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში,
19 წიგნის ავტორია და შვიდ ენაზეა ნათარგმნი.
შემოქმედება ნოველების „მარგალიტების ასხმულაა“
(მანანა ჩიქოვანი), მარგალიტების, დიას! ის XXI
საუკუნის მწერლობის სამშვერისია, ვიღაცა ამბობს,
თანამედროვე ლიტერატუ-
რა გემოვნებით ვერ



„ნინო რახვისა შვიდების გამოხვამლობილან“

წიგნის თარიღი

დაიკვეხისო. ხშირ შემთხვევაში დაგეთანხმები, შენ, ამ სიტყვების ავტორი! მაგრამ მარტო დეისაძე-ქარუმიძებითა და მათი მსგავსით ნუ საზღვრავ ლიტერატურულ ბარომეტრს, რომლებიც არათუ წიგნის თარის, ნაგავსაყრელსაც კი დააპინძურებდა, თურმე „ტუალეტში“ გენია იბადება!!! იქ წერას სხვა შარმი აქვს!!! სწორედ რომ დაჭვეულა ქვეყანა! ამ დროს ლიტერატურულ პოლიგონზე გ. სიხარულიძის შემოქმედება ჩნდება, „იმედის ხაზები“, სადაც XX-XXI საუკუნის ცხოვრების ტკივილი, დატოვებული ოჯახების და საშოვარზე წასული ქალების პრობლემა მწარედ და რეალურად არის ასახული, იმედგაცრუებული ბავშვის ყოფა ხომ უამრავი მოზარდის ცხოვრებაა.

„თრობის სურნელი“ - სულისა და გარემოს შტრაუსის სიმფონიაა. „სტეინვეის როიალი“ ზოგად-საკაცობრიო ტკივილის გაზიარება, სიკვდილის ყუთის არის, „იამურის“ ისტორია, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იყითხება.

მწერლის ოსტატობა იქიდან სჩანს, რომ აზრს ლაკონურად გადმოსცემს და შენ, მკითხველს სიუჟეტის თანაავტორად გხდის.

ასეა თუ ისე, ძვირფასო მკითხველო, გ. სიხარულიძის შემოქმედება ცხოვრების გადაშლილი წიგნია, თავის ავ-კარგით, იგი ყოველი ოჯახის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს. მან მოკლედ, ნოველისტიკის უანრის ჩარჩოს გათვალისწინებით, სხარტი და გამართული თხერობით, თვალწინ გადაგვიშალა XX საუკუნის ცხოვრება და ისტორიას პროზის სახით გადააბარა ფაქტობრივი დოკუმენტალური მასალა.

მისი შემოქმედება ერთგვარი სკივრია თვალ-მარგალიტით აღსავს, რომელთა ერთობლიობა ხან კარგად აწყობილ კლასიკური გიტარის ჰანგებს მოგვაგონებს, ხანაც საუკირის ხმას გამოსცემს, ხან კიდევ ზურნასა და დუდუკების მელოდიურ ნოტაზე გადაგვაწყობს, აგვაცრემლებს და სევდით აღგვაგებს.ბუნებით შლევი, მოუსვენარი თავად ბატონი გივი მდინარე თერგვით მუდამ ბობოქარი და დაუშრეტელია, გრძელი სიტყვის მოკლედ მთქმელი, XXI საუკუნის ქალაქური ნოველების ოქროს კალმიკანი უკვე 19 წიგნის ავტორია.

ის მწერალია, მსახიობია, სპორტსმენია, ქორეოგრაფია, ის ადამიანია-ადამიანი! - ეს მისი ყველაზე დიდი პროფესია, რომლის გულის მონაწურია სწორედ ქალალდზე ფაქიზად დაწყობილი ფრახები, კადრებად გადაშლილი სიუჟეტები, ამეტებული ფოთლები, ზღვის კენჭები, ძალები, რიიალის დეკა. ღრმად ფილოსოფიურია მისი შემოქმედება, წმინდა ფსიქოლოგიურ-ექსცენტრიულია მისი ყველი ფრაზა თუ ტაპი, ორიგინალურია მისი სიუჟეტური ახსნა თრობისა და მისით გამოწვეული სურნელება. ნოველები ხალასად იყითხება, მიზიდულობის კანონით არის გაუღენთილი, იწევებ კითხვას და მწერლის

გახალურებული, განზოგადებული ენობრივი ეფექტი, მაღალი სიუჟეტური ხელოვნება წიგნთან განშორების საშუალებას არ გაძლევს. აღსანიშნავია ნოველების ლოკალური დრო და სივრცე, სიტყვის სისხარტე და განზოგადება. ყოველივე ეს ქართულ, რეალურ სამოსშია გახვეული, სამოსში, რომელსაც თავად მწერალიც ხშირად ატარებს, ეს მისი განვლილი გზაა. გზა, რომელსაც ასახავს ახალი წიგნი „მიიღეთ იგი როგორიც არის“. წიგნი განსხვავებული ფორმატით გამოიცა, მკითხველს საშუალება ექნება გაეცნოს მწერლის ახლად შექმნილ ნოველებს და ლექსებს, რომელთა ბეჭდური ნათლობა უურნალ „რაჭველებსა“ და „სამეგრელოში“ შედგა. წიგნი ასახავს მწერლისადმი მიძღვნილ ფრაზებსა თუ ტაებებს, მის ცხოვრების ამსახველ ფოტო-ალბომს და ბოლოს, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს მის მრავლისმეტყველ ბიოგრაფიულ შტრიხებს.

წიგნი მეტად სასიამოგნიდ იყითხება, უფრო მეტიც, მისი ყოველი გაშლილი ფურცელი კინო კადრების ერთობლიობას ქმნის, მთლიანად წიგნი კი მხატვრულ-დოკუმენტალისტურ ასოციაციას იწვევს. კითხულობ და ხედავ, ხედავ და გესმის, უამრავი აღფრთოვანებული მკითხველი, წარმატებული ვერდიქტი - აქ არის სწორედ მწერლის მაღალი ხელოვნება და აღიარების გასაღები.

წიგნის უცვლელი რედაქტორია პოეტი ვახტანგ ლლობტი. ხოლო ელექტრონულად აიწყო და დაკაბადონდა „ნინო რეხვიაშვილის გამომცემლობაში.“

* * *

ემდგრება ვაჲტანგ ღლონტს

მიწაზე დადისარ,
მიწას არ ეხები,
ჸეცაში დაფრინავ მუზით,
დროებით ეავხარ ღმერთს ჩამოშებული
ამ ღვთიურ მიწაზე ღუზით,
ამიტომ დადისარ ღედამიწაზე
მოგვებიანი ტუზით,
რადგან ფასი იცი შენი ზოეზის
ვერაზინ გნახავს კუზით.
ღღეს მართალია სადღაც საჭებთან
მედროვე პოეტი უზით,
ვეელას ქქვიანი უჭირავს სელში
შენ კი ანადგურებ ტუზით.

გივი სიხარულიძე



ერთ ლექციაში მოქაული ქართული ცნობის არაპირდება

**ქართული ვა ლაზარეა ყველა ენეას შორის, იგი პირველადი ვანა, მთავარი ვანა,
ისევე რომორც ლაზარე – იორე იყო მთავარი მოსიქული ივარ ქარისტასი, მოხაფე,
რომელი უყვარდა ივარს და რომელი იყო მისი უახლოესი სულიერი გამოგარი. იგი
იყო ახავე ღრმის ძალის დამატებითი დამატებითი და დამატებითი...
საქართველო – დამატებითი დამატებითი და დამატებითი...**

**ქართველ მოდგმის ხალხების როლი ქრისტიანობის
განვითარებაში?**

ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხები ძირითად როლს თამაშობენ. სემიტური მოდგმის ხალხები შეასრულეს ძირითადი როლი ქრისტიანობის შემზადებაში, ძველი ალქმის ეპოქის პერიოდში, ხოლო საკუთრივე ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური და ინდოევროპული მოდგმის ხალხები ასრულებენ ძირითად როლს. ინდოევროპული მოდგმის ხალხებს უკავშირდება ძველი ბერძნები, როგორც მოგეხსენებათ. „ქებად და დიდებად“ გვეუბნება, რომ ორნი დანი, მარიამ და მართა შეიძლება შევადაროთ ნინოს და დედოფალ ელენეს. ნინო არის ქართველური მოდგმის სიმბოლო, ქართული ქრისტიანობის სიმბოლო, ხოლო ელენე არის ბერძნული ქრისტიანობის სიმბოლო და როგორც მარიამი, მოგეხსენებათ, არის მისტიური ჭვრეტის, მისტიური საიდუმლო ღვთისმეტყველების სიმბოლო, ეზოტერული ქრისტიანობის სიმბოლო, გოგმატური ქრისტიანობის სიმბოლო, რომელიც უფრო საბერძნებაში განვითარდა. ე. ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენლები ქრისტიანობაში უფრო მისტიკასა და საიდუმლო ღვთისმეტყველების გზას ავითარებენ. აი, მაგალითად, დიონისე არეოპაგელი, ანუ პეტრე იბერი, ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, თავად წმინდა გორგი — ესენი ქართველური მოდგმის წარმომადგენლები არიან. ამრიგად უკავშირდება ლაზარე, როგორც სიმბოლო ქართულ მოდგმას. ჩვენ ვიცით, რომ ლაზარე არის იოანე არა მხოლოდ სულიერ მეცნიერებაში, არამედ მთელი რიგი დასავლეთის ეგზეტიკოსები ლაზარეს აიგივებენ იოანესთან და იოანე-ლაზარეს იდენტიფიკაცია აშკარად მოსჩანს, სხვათა შორის, ქართულ ფოლკლორშიც კი არსებობს ხალხური კულტი ლაზარესი, რომელიც არის წვემის ღვთაება, იგივე რაც ერთია. ე. ი. ელიას და ლაზარეს იდენტურობა მოცემული არის ქართულ ფოლკლორში. იოანე-ლაზარე არის სიმბოლო ქართული ენისა, ქართული მოდგმისა, რომელიც ამ ოთხდღიანი სიკვდილისმაგვარი ძილის შემდეგ უნდა აღდგეს. აი, ამას გვაძლევს ჩვენ იოანე-ზოსმე თავის „ქებად და დიდებაში“.

კავშირი ლაზარესა და ქართულ ენას შორის

ლაზარეს აღდგინება იოანე-ზოსიმესთან ნიშნავს აღდგინებას ქართველი ერისას, ქართველური მოდგმისას, მარტო ქართველი ერისას კი არა, მთელი ქართველური მოდგმისას იმ განფენილობით, როგორც ის იყო წარმოდგენილი პრეისტორიულ ხანაში, ანუ ლაზარეს დაძინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში ეს მოდგმა შემცირდა, განადგურდა ინდოევროპულების მიერ და დარჩა მხოლოდ პირინებზე, მცირე აზიაში, კავკასიაში. ხოლო აღდგომა იქნება ისევ აღორძინება ამ მოდგმისა, ისევ იმავე პოზიციას დაიბრუნებს ეს მოდგმა და ეს ერი, რომელიც მს გააჩნდა პრეისტორიულ ხანაში, ე. ი. წამყვანი მოდგმის პოზიციას, კაცობრიობის სულიერი მოძღვრის პოზიციას. აი, ეს იგულისხმება სწორედ იმაში, რომ მეორედ მოსვლის დროს ღმერთმან უნდა ამხილოს ყველა ენასა ამით ენითაო, როგორც ამბობს იოანე-ზოსიმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ეს მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა და ის ამხელს დანარჩენ კაცობრიობას.

რა კავშირი პრომეთესა და ამირანს შორის.

ამირანი გვიანი სახელი უნდა იყოს პრომეთესი. ჩვენ არა გვაქვს წრობები იმის შესახებ, რომ პრეისტორიულ ხანაში წრომეთეს ამირანი ენოდებოდა. საქართველოში ამირანი, თვითონ სახელი „ამირ“ უფრო იმ პერიოდთან არის დაკავშირებული, როდესაც უკვე სპარსული კულტურა შემოდის საქართველოში. ამირან დარეჯანისძე — „ამირ ანდარე ჯეჰან“ ნიშნავს „მბრძანებელი ქვეყნისა“, „მეუფე ქვეყნისა“, ეს სპარსული ტერმინია.

საერთოდ, ამირანზე ხალხური თქმულების ის სახე, რომელმაც ჩვენამდის მიაღწია, გვიანდელი უნდა იყოს. რეისტორიული მითი ამირანზე აისახა ქართულ ხალხურ თქმულებაში, მაგრამ სახელი შეცვლილია. სახელი ამირანი აშკარად სპარსული წარმომხმისაა და, მე მგონი, არ ასახავს ამ არსების რაობას. პრეისტორიულ ხანაში ამ არსებას, მემგონი, ჰქონდა უფრო ძველი პროტოქართული შესატყვისი. საერთოდ, პროტოქართული შესატყვისები ჰქონდათ არამარტო ასეთ პერსონაჟებს. მაგალითად, საიდან მომდინარეობს ქართველთა ეპინომი

მეცნიერება

„კარდუ“? ეს არის მთის სახელი, რომელსაც დღეს ჰქვია არარატი. თავდაპირველად ამ მთის სახელი, კარდუ იყო ბაბილონური ლვთაება. მთებს არქმევდ ნენ ლვთაებების სახელებს და ამ ლვთაების სახელი ერქვა მთა არარატს, რომელსაც სუმერულ ეპოქაში ნისირი ერქვა. ძველი სახელები დღეს უკვე აღარა აქვს არც ამ ტოპონიმებს, არც გმირებს და ამ არსებას, რომელსაც პრომეთეს უნდებენ, დარწმუნებული ვარ, პრეისტორიულ ხანაში არ ერქვა ამირანი. უფრო შუასაუკებშია შერქმეული.

აფხაზურ-ქართული ენების ერთობლიობა.

საერთოდ ადილეური და სხვა კავკასიური ენები, როგორც მოგეხსენებათ, იბერიულ-კავკასიური წარმოშობისაა, მათსა და ქართულ ენას შორის გენეტიკური ნათესაობა არსებობს. ეს ვერ გაუგიათ მათ და ამიტომ არის ეს ეროვნული შუღლი, თორემ მათი წარმომავლობა ნამდვილად იბერიულ-კავკასიური. ნამდვილად ასეა. რომ ჰქონდეთ მათ მეხსიერება, ცოდნა თავიანთი წარმომავლობის შესახებ, ისინი არასოდეს გააჩალებენ ასეთ კონფლიქტებს თავის მონათესავე ერთან. საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები გენეტიკურად მონათესავენი არიან, ასევე მათი ენებიც. ეს არნოლდ ჩიქობავამ, ჩვენმა დიდებულმა მეცნიერმა, შესანიშნავად გამოიკვლა და ეს მისი საყვარელი ტერმინია—იბერიულ—კავკასიური ენათმეცნიერება და იბერიულ—კავკასიური ხალხები, რაც, სხვათა შორის, იმასაც გულისხმობს, რომ იბერიულ—კავკასიური არ არის ერთადერთი იბერიულ სამყაროში, არსებობს, მაგალითად, იბერიულ—პირინეული და სხვა, რომ იბერიულ—კავკასიური არის მხოლოდ ერთი მონაკვეთი იბერიული სამყაროსი და მასში ერთიანდებიან აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები.

არსებობს თუ არა კავშირი ლაზეთსა და ლაზარეს შორის.

ამაზე ჰიპოტეტიურად შეიძლება ვთქვათ მხოლოდ, რომ ფუძით უკავშირდება; აგრეთვე ლაზარე და ლაზური, ლაპისლაზური, რომელიც ლაზვარდს ალნიშნავს და ლაზვარდი და ცისფერი ეს არის იოანელაზარეს ფერი. საერთოდ და შეიძლება ეს ყოველივე რაღაც კავშირშიც იყოს... ლაზარესადმი მიძღვნილი თამარისდროინდელი ტაძრის, ბეთანიის ფრესკებიც ხომ ცისფერ ფერებშია გადაწყვეტილი, არ შეიძლება ამას ღრმა ეზოტერული მნიშვნელობა არ ჰქონდეს.

ხეთები საქართველოში.

ხეთასთან დაკავსირებული ტოპონიმები არის საქართველოში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ, ვთქვათ, ხეთების სამშობლო იყო. იყო მიგრაციები ხალხების, იყო მათი გარკვეული მოძრაობა და ამასთან არის დაკავშირებული მრავალი ტოპონიმი. საერთოდ, ხეთები ინდოვროპელებია, ისინი არ ეკუთვნიან ქართველური წარმოშობის ხალხებს.

ნიკო მარი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

ნიკო მარს ძალზე წინააღმდეგობრივი შეხედულებები ახასიათებდა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ და საერთოდ, დიდ ადამიანებს ზოგჯერ დიდი შეცდომებიც მოსდით. ან შეცდომები დაუშვა „ვეფხისტყაოსნთან“ დაკავშირებით, მაგრამ შემდეგ თავადვე გამოასწორა ეს შეცდომები და უაღრესად მნიშვნელოვანი აზრები გამოიქვა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. თავდაპირველად ის თვლიდა, რომ „ვეფხისტყაოსნი“ ნათარგმნი

ნაწარმოებია, აპირებდა მისი „დედნის“ პოვნას ბრიტიშ მუზეუმში, მაგრამ ვერ შეძლო ეს და შემდეგ სხვაგვარო შეხედულება ჰქონდა უკვე ამაზე. რაც მთავარია, ნიკო მარრმა პირველმა გვაჩვენა ის ორგანული კავშირი, რომელიც არსებობს, „ვეფხისტყაოსნის“ სამყაროსა და დასავლური რაინდული რომანის სამყაროსა და საერთოდ, დასავლურ კურტუაზიას შორის. მან მიგვითოთა აგრეთვე პროვანსელი ტრუბადურების და საერთოდ, რაინდული კულტურს სხვა ძეგლებთან „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსებაზე. ნიკო მარრმა ძალიან ღრმად მიანიშნა ამაზე და ძალზე ლირებული ნაშრომი დაგვიტოვა — „ქალის კულტი „ვეფხისტყაოსანში“. რაც შეხება რუსთველის მუსულმანობის იდეას, მან ეს უარყო შემდგომ. ერთხანს ნიკო მარრს ჰქონდა აზრი, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მუსულმანი იყო, მაგრამ ეს აზრი მას იმიტომ დაეხადა, რომ ის ამ ეკუმენიზმს ვერ ხსნიდა. რუსთველს ახასიათებს რაღაც ზე-რელიგიური ეკუმენიზმი. თითქოს და ის ყველა კულტების და ყველა რელიგიების გამაერთიანებელი არის თავის პოვმაში. საერთოდ, „ვეფხისტყაოსანი“ ეს არის სინკრეტული ნანარმოები, არაეკლექტური, სხვადასხვა ელემენტების უკავშიროდ შერწყმა, არამედ სინკრეტული, ეს არის ერთიანობაში მოცემა სხადასხვაგვარი ელემენტებისა. „ვეფხისტყაოსანი“ არის ანტიური სიბრძნისა და ქრისტიანული სიბრძნის სინთეზი, ეზოტერული სიბრძნის სინთეზი, ანტიური ინიციაციის გზისა და ქრისტიანული ინიციაციის გზის ახალი სინთეზი, არის ახალი მხატვრული მითოსის ენაზე მოცემული, ასე რომ აქ მრავალ მკვლევარს ეჩვენებოდა ცალ-ცალკე, ცალ-ცალკე აღმსარებლობა, მაგრამ ეს შემდეგ არ დადასტურდა და დღეს უკვე გაბატონებული აზრია, რომ ეს არის ქრისტიანული ნანარმოები, რომ ავტორი ქრისტიანია, თანაც ფართო გაგების ქრისტიანი, რომელიც ეკუმენურად აერთიანებს სხვა რელიგიების მიწნევებსაც თავის მსოფლმხედველობაში. მაგალითად, იქ არის მოცემული ასტროლოგიური, ასტროსოფიული იდეები, არის ანტიურ მისტერიათა იდეები, თვით „მზიანი ღამის“ სტროფი და სხვა. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ის ღრმად იყო ნაზიარები ანტიურ მისტერიალურ კულტურას, გვაძლევდა ამის სინთეზს თავის ნანარმოებში. ნიკო მარრი თავდაპირველად ამას ვერ ხედავდა. ან მუსულმანად რუსთველი, ვინაიდან მუსაფიც არის იქ და მუსაფიც იფიცებენ გმირები, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ პირობითად „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედება გადატანილი არის აღმოსავლურ სამყაროში, მუსულუმანურ სამყაროში და იქ ცხადია მუსაფიც გარდა სხვა საღვთო წიგნს ვერ ახსენებდნენ, მაგრამ ლოცვა ავთანდილისა ეს არის ქრისტიანული ლოცვა, მიუხედავად იმისა, რომ ის თითქოს მის გიდში ლოცულობს. ასევე გმირებით, თავიანთი მოქმედებით, თავიანთი ხასიათით ქრისტიანები, ქრისტიანული სამყაროს ნარმობადგენლები არიან. არაბი, ინდოელი „ვეფხისტყაოსანში“ არ ნიშნავს ეროვნებას. ეს არის სიმბოლურად. „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნები საერთოდ, გეოგრაფიული სინამდვილე არ არის, ისტორიული სინამდვილე არ არის. ეს ალეგორიული გეოგრაფიას

„ვეფხისტყაოსნი“ მსგავსებაზე. ნიკო მარრმა ძალიან ღრმად მიანიშნა ამაზე და ძალზე ლირებული ნაშრომი დაგვიტოვა — „ქალის კულტი „ვეფხისტყაოსანში“. რაც შეხება რუსთველის მუსულმანობის იდეას, მან ეს უარყო შემდგომ. ერთხანს ნიკო მარრს ჰქონდა აზრი, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მუსულმანი იყო, მაგრამ ეს აზრი მას იმიტომ დაეხადა, რომ ის ამ ეკუმენიზმს ვერ ხსნიდა. რუსთველს ახასიათებს რაღაც ზე-რელიგიური ეკუმენიზმი. თითქოს და ის ყველა კულტების და ყველა რელიგიების გამაერთიანებელი არის თავის პოვმაში. საერთოდ, „ვეფხისტყაოსანი“ ეს არის სინკრეტული ნანარმოები, არაეკლექტური, სხვადასხვა ელემენტების უკავშიროდ შერწყმა, არამედ სინკრეტული, ეს არის ერთიანობაში მოცემა სხადასხვაგვარი ელემენტებისა. „ვეფხისტყაოსანი“ არის ანტიური სიბრძნისა და ქრისტიანული სიბრძნის სინთეზი, ეზოტერული სიბრძნის სინთეზი, ანტიური ინიციაციის გზისა და ქრისტიანული ინიციაციის გზის ახალი სინთეზი, არის ახალი მხატვრული მითოსის ენაზე მოცემული, ასე რომ აქ მრავალ მკვლევარს ეჩვენებოდა ცალ-ცალკე, ცალ-ცალკე აღმსარებლობა, მაგრამ ეს შემდეგ არ დადასტურდა და დღეს უკვე გაბატონებული აზრია, რომ ეს არის ქრისტიანული სიბრძნისა და ქრისტიანული სიბრძნის სინთეზი, ანტიურ მისტერიალურ კულტურას, გვაძლევდა ამის სინთეზს ნანარმოებში. ნიკო მარრი თავდაპირველად ამას ვერ ხედავდა. ან მუსულმანად რუსთველი, ვინაიდან მუსაფიც არის იქ და მუსაფიც იფიცებენ გმირები, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ პირობითად „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედება გადატანილი არის აღმოსავლურ სამყაროში, მუსულუმანურ სამყაროში და იქ ცხადია მუსაფიც გარდა სხვა საღვთო წიგნს ვერ ახსენებდნენ, მაგრამ ლოცვა ავთანდილისა ეს არის ქრისტიანული ლოცვა, მიუხედავად იმისა, რომ ის თითქოს მის გიდში ლოცულობს. ასევე გმირებით, თავიანთი მოქმედებით, თავიანთი ხასიათით ქრისტიანები, ქრისტიანული სამყაროს ნარმობადგენლები არიან. არაბი, ინდოელი „ვეფხისტყაოსანში“ არ ნიშნავს ეროვნებას. ეს არის სიმბოლურად. „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყნები საერთოდ, გეოგრაფიული სინამდვილე არ არის, ისტორიული სინამდვილე არ არის. ეს ალეგორიული გეოგრაფიას

ზეინად გამსახურდის

ათებული ვარსკვლავი და ჩამარალი სიცოცხლე



მაზრალი
სიმღერის
ენაზენის

ჰილდერიკიშვილი ხატურაშვილი


„სიმღერა მანამ ცოცხლობს, სანამ ხალხის გულში ტრიალებს“-ამბობდა უხუცესი ლოტპარი პოლიკარპე ხუბულავა. ხალხური სიმღერებით ჯერ კიდევ ბავშვობაში დაინტერესდა. 1924 წ. 4 დეკემბერს სოფ. ჯიხაშვარში დაიბადა.

მამა - ერასტო მელიტონის ძე ხუბულავა რეინიგზის მუშა იყო. ხეთა-ზუგდიდის რეინიგზის მშენებლობაზე მსახურობდა. საგულისხმოა, რომ ის თვითნასწავლი მომღერალი იყო. მან ჩამოაყალიბა 45 კაციანი ხალხური სიმღერის გუნდი, სადაც მოსახლეობა დიდი მონდომებით ეწერებოდა. ისინი იკრიბებოდნენ სახლში და მეცადინეობდნენ. ჰქონდათ რეპეტიციები ზუგდიდის დადიანების სასახლის პირველ სართულზე. ბატონ პოლიკარპეს სიმღერის ნიჭი მამისგან გამოჰყვა. და ამბობდა: „ცნობილი მომღერალი იოანე ჩიმახია არჩევდა უნიკალური ხმებისა და ტემბრის ადამიანებს, და მე ყოველთვის მინდოდა მიმებაძა ამ ადამიანებისთვის“. ისინი კონცერტებს ზუგდიდში მართავდნენ.

ჰატური პოლიკარპე თითქმის ყოველ კონცერტს ესწრებოდა. მისი მუსიკალური ნიჭი აღმოუჩენია ჯიხაშვარის სკოლის დირექტორს შ. სიჭინავას და მის მეუღლესქ. ცხონდიას. მაშინპა ხუბულავა მორე კლასში ყოფილა. იგი ოცნებობდა მომღერლობაზე და ოჯახური ტრადიციაც უწყობდა ხელს. 1931 წლს ზუგდიდში ჩამოსულა გრ. კოკელაძე და ფესტივალს დასწრებია, სადაც ერასტო ხუბულავას სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა უდიდესი წარმატება მოიპოვა. ერასტო ხუბულავას ავტორობით და შესრულებით ცნობილია მეგრული სიმღერა „კუნტა ბედინერა“,

რომელიც შეტანილია 100 უნიკალურ ქართულ სიმღერაში. არსებობს „კუნტა ბედინერას“ მეორე ვარიანტი, რომელიც ძმებმა ბენდელიანებმა შექმნეს.

ბატონ პოლიკარპეს ოცნება აუხდა. იგი უამრავი მეგრული სიმღერის ავტორია. თავად ქმნიდა მელოდიებს. კალისტრატე სამუშავიასთან ერთად შექმნა სიმღერა მთვარეზე — „თუთა ახალი“.



ფოლკლორი

თუთა ახალ, ახალთ - ახალი,
ახალ თუთა გამახარი.

ცაში კარი სი გომინჯი
სი ჯეში დო მა ახალი.
ახალ თუთა გამახარი,
საქოროფოთ სი გეგლერჩინ
მა ირ მორთას გუმაახალი.

პ. ხუბულავამ 1948 - 1950 წლებში სოფ. ჯიხაშვარში შექმნა ფოლკლორული ანსამბლი სადაც გაერთიანებული იყო სამოცდაათამდე წევრი, მათ შორის 18 მეჩონგურე. ცნობილი მომღერლები იყვნენ ძმები ბენდელიანები, შენგელიები, ზარანდიები და სხვები.

პ. ხუბულავა სამეცნიეროს სხვადასხვა რაიონში მოღვაწეობდა. ცნობილია მის მიერ შესრულებული „არამი დო შაროქა“, რომელიც პირველად შესრულდა ჯიხაშვარში, შემდეგ კი ზუგდიდში.

ცნობილმა მეჩონგურემ ოთანე სიჭინავამ სიკვდილის ნინ ბატონ პოლიკარპეს გადასცა სურათები და სიმღერების ალბომი. როგორც პ. ხუბულავა ამბობდა; ი. სიჭინავას მისთვის უთხოვია გადაერჩინა მეგრული ფოლკლორი და ამით მის მიერ წამოწყებული საქმე გაეგრძელებინა.

პ. ხუბულავას რეპერტუარში იყო უნიკალური მეგრული სიმღერები: „თუთა ახალი“, „ზესკვი უჩა“, „სატრიფიალო“, „აი პირი გაშლილ ვარდი“, „მაყალეფი წიმე იბდათ“, „ვახტანგური“, „მაგნოლია“, ცნობლია აგრეთვე საოხუნჯო სიმღერები და სხვა.

პ. ხუბულავას ანსამბლმა ოდიოამ წარმატებით მოიარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანა.

პ. ხუბულავა ამბობდა: „სოფ. ჯიხაშვარში ხდებოდა „ჯარალუა“ — თავშეყრა, სადაც იმართებოდა ცეკვები, დოლი, თუ ვინმე შეყვარებული იყო, აქ



ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაჭანკლები თავიანთ საქმეს აკეთებდნენ და ყველაფერი ქორნილით მთავრდებოდა. ძირითადად იკრიბებოდნენ ჯიხა-სთანდა ფალაზონთან. თამაშობდნენ ლელო ბურთს, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინც ჭანისწყალს გასცდებოდა გამარჯვებულიც ის იყო. გასული საუკუნის 70-80-იან წნ. იმართებოდა ისინდი, დოლი, მოსახლეობა ზეიმობდა. სამწუხაროა, რომ დღეს მიივიწყეს ეს ტრადიცია“.

პ. ხუბულავა გულისტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ საზოგადოება უმეტესად დაინტერესებულია თანამედროვე მუსიკით და მეგრულ სიმღერებს მსმენელი არ ჰყავს. არადა მეგრული ფოლკლორი შეიძლება დაიკარგოს, მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

ამჟამად, ჯიხაშვარში ფუნქციონირებს მხოლოდ ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლი.

ლოტბარი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა. ლირსების ორდენისანი, კოლორიტი, იშვიათი



ფოლკლორი

სმენისა და საშემსრულებლო
მანერის პატრონი, სუფთა
ინტონაციითა და იმპროვი-
ზაციის ამოუნურავი შესაძლე-
ბლობებით აღსავსე უხუცესი
სიკვდილის ბოლომდე აქტიურ
შემოქმედებით წვაში იყო. „უკვე
90 წლის ვარ, ჯერ-ჯერობით
მაქვს ენერგია, ძალა, მაგრამ
მაინც ვდარდობ, რა იქნება
ჩემს მერე, ზუგდიდში ოთხი
კაცი მეგულება, ვინც ჩემს
საქმეს გააგრძელებს,“ - სწუხდა
ბატონი პოლიკარპე.

პოლიკარპე ხუბულავა მე-
გრული სიმღერის პატრიარქია,
224-მდე უძველესი მეგრული სიმღერა აღადგინა და
ჩვენამდემოიტანა, ყველატექსტი ზეპირად ახსოვდა
და სამივე ხმას უნიკალურად ფლობდა, სულ 50-
ზე მეტი ჩონგური გამოიცვალა. უპირატესობას
გურულ ჩონგურს ანიჭებს, დიდი მუცელი აქვს
და კარგ ხმას გამოსცემსო. გურული ფოლკლორი
ჯარიდან შეჰვევარებია. 1941 წელს სამხედროში
რომ გაიწვიეს, იქ შერმადინ ჭკუასელი, ჯემალ
ჭკუასელის მამა დახვედრია, რომელიც იქაურ
ანსამბლს ხელმძღვანელობდა. დემობილიზაციის
შემდეგ თავის საქმე შერმადინს პოლიკარპესთვის
ჩაუბარებია. ყველაზე მეტი გურული სიმღერა



იქ დაამუშავა. ამიტომ ხანდახან
ამბობენ, პოლიკარპემ მეგრული
სიმღერა გააგურულა, რაზეც
თავად ლოტბარი პასუხობდა;

„ეს არ არის მართალი, მეგ-
რულს მეგრულად ვმღერი,
გურულს გურულად, ყველა
სიმღერას თავის საშემს-
რულებლო მანერა სჭირდება“.

პოლიკარპე ასაკის მიუხედავად
სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად
მოღვაწეობდა, იგი ზუგდიდში
სამი ანსამბლის ლოტბარი იყო.
უყვარდა ზუგდიდს, სამეგრელოს
და სულიად საქართველოს.

იგი ქართული ფოლკლორის
დიდი ტკივილი და დანაკლისია.

„მეგრული სიმღერის პატრიარქი, ფოლკლორის
მამა“, - აი ასე ამკობდნენ მას თანამედროვენი.
მისებრ დამსახურების ლოტბარი ქართულ ფოლკ-
ლორში იშვიათად მოიძებნებაო, — ამბობდა ანზორ
ერქომაიშვილი.

ახლახანს ქ. ზუგდიდში პოლიკარპე ხუბულავას
ვარსკვლავი გაიხსნა. სამწუხაროა, რომ ვარკვლავი
აინთო და სიცოცხლე ჩაქრა, მაგრამ ალბათ ეს იყო
უფლის ნება. ნათელში ამყოფოს უფალმა ბატონი
პოლიკარპეს სული.

6060 რეციტაცილი



ადამიანი ქადაგის ნაკვადებზე

ციალა მარჯანიშვილის ახალი წიგნი

„წიგნში ასახული მასალები აღებულია ცხოვრებისეული უტყუარი ფაქტებიდან, თუ ვინმეს აქვს პრეტენზია, მყითხოს და ვუპასუხებ...“ ასეთ წინასიტყვაობას უკეთებს თავის მერვე გამოცემას ქალბატონი ციალა მარჯანიშვილი, რომელიც შეუიარაღებელი თვალით ხედავს და აღიქვამს დღევანდელობას, აფასებს წარსულს, გამორთქვამს აზრს ქვეყნის პოლიტიკური კურსის შესახებ, აფასებს ფაქტებს, მოვლენებს, პოლიტიკოსების ხედვასა და ქმედებებს.

ავტორი თამამი და პირუ-
თვენია. თავის აზრს შეუფარა-
ვად გადმოსცემს და აღბათ
საამისოდ ცხენიც შეკაზმული
ჰყავს. აკი თავიდანვე ამბობს,
მყითხეთ და გიპასუხებთო. მის
ახალ გამოცემას სახელწოდება
„მოლოდინი“ სწორედ ში-
ნაარსიდან გამომდინარე დაარ-
ქვა, - მძიმე სოციალურ-ეკო-
ნომიკური ფონი, საზოგადოების
დეგრადაცია, უყურადღებობა
და ხალხის აბუჩად აგდება, —


ეს ის თემებია, რასაც წიგნში ამოიკითხავთ. როგორც თავად ამბობს, კალამს სიმართლის ქარცეცხლში აქტიურად ბრძო-
ლისთვის ლესავს, აღესილი კალმის ნაკვალევი კი სწორედ ამ გამოცემაშია თავმოყრილი.

წიგნის რედაქტორია შ.
პირველი. აღსანიშნავია, რომ

თემატიკა აქტუალურია, ხოლო მიდგომა და ანალიზი კი სუბიექტური, ავტორისეული, რომლის განსჯა მხოლოდ მისი წაკითხვის შემდეგ შეგიძლიათ. ეს არის ფაქტები, რაც მსჯელობის საგნად შეიძლება იქცეს. რის გამოც შესაძლოა ავტორის აზრი არ ემთხვეოდეს რედაქტორის აზრს, მაგრამ თუ არსებობს პროტესტი, მისი გამოხატვის აუცილებელი საშუალება დემოკრატია, რაზეც დღეს ნამდვილად გვაქვს პრეტენზია.

მაშ, ასე, მოიკითხეთ და გაეცანით წიგნს „მოლოდინი“, ალბათ ბევრ თანამოაზრეს შეიძენს ავტორი, ბევრიც გან-
სხვაცებული აზრის აღმო-
ჩნდება. რაც იმას ნიშნავს, რომ თემა — ქვეყნის სოციალურ-
ეკონომიკური მდგომარეობა, აქტუალურია, შეფასება კი ინდივიდუალური.

წარმატებას ვუსურვებთ
ქალბატონ ციალას შემოქ-
მედებით ასპარეზზე.



ჩვენი სიწმინდეები

„ნინო თუხლის გამოსუმრობა“
უხროეს მომავარში გეგმვეს წიგნის გამოცემას
„სამეგრელოს რინბშესანიშნაობები“,
როს გამოს გამოსუმრობაზ ღაინყო აკნიშენი
მსარების შეგროვება, რომის მუინჯ ნატირსაც ყოველ
ნომერში შემოვთავაზებთ.
წიგნში შეკარგულებული, არამედ დღემდე
უსწობი მსარები.



რეზიდენციის აკადემია დაკით კიკორიშვილი



ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება „ილორის წმ. გიორგის“ კარედი ხატი, რომელიც XVI საუკუნეშია შესრულებული. კარედის ზომებია: 42X30 სმ, დახურული სახით კი 30X21 სმ. კარედი მთლიანად ვერცხლითაა მოჭედილი, ზემოდან კი მოოქრულია. მთავარი ხატი წმ. გიორგის გამოსახულებით ჩასვენებულია „კუბოში“, რომელსაც ორი კარი აქვს. კარებების შიდა მხარეს წარმოდგენილია „ხარების“ სცენა, გარეთა მხარეს კი წმინდა მეომართა გამოსახულებებია — მარცხნივ წმ. დიმიტრი, მარჯვნივ წმ. თევდორე. მთავარი გამოსახულების, წმ. გიორგის ფეხებთან გამოსახულია ხარი და მის მოპირდაპირე მხარეს კი ქტიტორი, ხატის შემწირველი, ცაიშელ-ბედიელი მიტროპოლიტი, კვირილე უვანიძე, რომელიც „ვედრების“ პოზაშია. კარედზე ორი წარწერაა, საიდანაც ვგებულობთ მისი დამკვეთის ვინაობას: „ცაიშელ-ბედიელ მიტროპოლიტი კვირილე უვანიძე, რომელმან ინება შემკობა ხატისა ამის“. ხატი მოჭედილია 1572-1582 წლებში, როდესაც მთავრობდა გიორგი III დადიანი, იგი კარედის კარების ზურგის წარწერაშია მოხსენიებული. კარედი ხატი თავისი შინაარსით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. აյ წარმოდგენილი წმ. გიორგი და სასწაულმოქმედი ხარის თემა ქართული სინამდვილიდანაა აღებული. წმ. გიორგის სახელმობის დღეს ილორში იმართებოდა დღესასწაული, სადაც ჰკლავდინენ ხარს და მის ნაწილებს ხალხს ურიგებდნენ, როგორც რელიქვიებს. „ხარის“ სახე ორიგინალური თემაა ქრისტიანულ ხელოვნებაში, იგი საქართველოს გარეთ არსად არ გვხვდება.

ჩვენი სიწმინდეები



მარტვილის თორმეობი
დღესასწაულის ხატი

მარტვილის მონასტერმა შემოგვინახა ხატი რომელიც პი-ზანტიური ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. ხატი ვერცხლისაა, მოოქრული, მისი ზომებია: 112X85 სმ. იგი შეიცავს კიდევ ორ ქრონოლოგიურ ფენას: ჩასადგმელი ხატი (40X25 სმ) იქსეს გვარტომობის ხე, რომელიც 1784 წელსაა გაკეთებული. ცენტრალურ ნაწილში გამოსახული ღვრთისმშობელი ყრმით X-XI საუკუნეებში უნდა იყოს შესრულებული. სცენები თორმეტი დღესასწაულიდან მოჭედილია 1644 წელს ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ევფემონ აფაქიძის შეკვეთით, ხატის ჩარჩოზე წარმოდგენილია 22 ფიგურიანი გამოსახულება — მოციქულები, მთავარანგელოზები. ზედა ნაწილში წარმოდგენილია „შვიდფიგურიანი „ვედრების“ კომპოზიცია (ქრისტე, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი, მის უკან ელისაბედი და ანგელოზი, ღვთისმშობლის უკან კი ანა და იოაკიმე). ხატის ქვემოთ ვრცელი წარწერაა.



დაიპის
ღვთისმშობლის ხატი.

გვიანი პერიოდის ქართული ოქრომჭედლობის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ღვთისმშობლის (ოდიგიტრია) ხატი ცაიშიდან. ხატი ვერცხლისაა მოოქრული, მისი ზომებია: 110X75 სმ. ღვთისმშობელი წარმოდგენილია ფეხზე მდგომი მთლიანი ტანით, ყრმა იქსოთი ხელში, მის გვერდით გამოსახულია ხატის შემწირველი აფხაზეთის კათალიკოსი, ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი მთავარეპისკოპოსი მალაქია გურიელი. წარწერაში მოხსენიებულია ოქრომჭედელი ფარემუზ ელბეგიძე. ხატი შესრულებულია 1619-1622 წლებში. ჩარჩო მონასტირებისა, კვემოთ წარწერებია, დანარჩენ სამ კიდეზე კი მოციქულთა და წმინდანთა წახევარფიგურებია გამოსახული, სულ 15 ფიგურა.



ხოპის ღვთისმშობლის ხატი

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია X საუკუნეები შესრულებული ხოპის ღვთისმშობლის ხატი, მისი ზომებია: 55X43 სმ. იგი ვერცხლისაა, მოოქრული, შესრულებულია ტიხრული მინანქრით, მორთულია ძვირფასი თვლებით. ფერწერულად შესრულებული ღვთისმშობლის პირისახე გვიანდელია. ხატის ჩარჩოზე მოთავსებულია ტიხრული მინანქრით შესრულებული მედალიონები, ზედა ნაწილში წარმოდგენილია „ვედრება“ (მაცხოვარი, ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი). ქვედა და გვერდითა ნაწილებში გამოსახული არიან: მათე, მარკოზი, ლუკა, პეტრე, პავლე, ანდრია და გრიგოლ ღვთისმეტყველი. მედალიონის შესრულების ტექნიკა ქართული ხელოვნების ტრადიციებს ემყარება. ხატის ზურგზე მოთავსებულია წარწერა, რომლის თანახმად მედალიონები შეწირულია ხატისთვის ერისთავთ-ერისთავისა და მანდატურთ უხუცესის ბედან დადიანის და დიოფალ-დიოფალის ხავაშაკის მიერ. მეორე წარწერაში, ხატის ქვემოთ, მოხსენიებულია ლეონ მეფე (957-967).

ნიკო ლორთეპიზანიძე

„იქ, სადღაც შორს პეტლემში, ცხრამეტი
საუკუნის წინათ, ცა მოჭედილ ლამეს
გლვიმები დაიჩადა იხსო, ძე ეპლულის
მარიამისა, მაშვრალთა იმაზი და ნუგაში,
ტანჯვის შემამსუბურებელი, სიკვდილთა
სიკვდილის დამთრგუნველი...“



სამოგაო მინიატურები

სარეცელზე

— ნუ გეშინია, შვილო, ექიმმა თქვა: ყველაფერი
აჭამეთ, რაც კი მოისურვოს. პირში მაინც
გამოივლე შაქრის ყინული... ტკბილია...

გიამება. აი ამ ანგელოზის ქანდაკებას მოკიდე
ხელი... მთელ ქალაქში ერთი იყო და შენ მოგიტანე.
ნუ გეშინია, შვილო, დამშვიდდი. აი ასე, ასე
ამოისუნთქე... გაგივლის. ახლა უმწვერვალესი
წუთია ავადმყოფობისა, აი, დაგიკლებს სიცხე...

ბავშვის პატარა ხელებს მოხვდა ცივი მარ-
მარილოს ქანდაკება: იამა, გახურებულ მკერდზე
მიიკრა და გაყუჩდა ბავშვი. დედა კი ნელა უსვამდა
ხელს ოფლიანს შუბლზე, უსწორებდა გაჩეჩილ
თმას. მერმე ჩაიკეცა და მიითვლიმა.

აგონდება ქალს პირველი ამბორი — განა ეს
გარდამწნა არ იყო.

აგონდება ქალს როგორ დაიძრა სხეულში ახალი
ადამიანი.

აგონდება ქალს, როგორ ტანჯვითა შორის
ქვეყნად იშვა მისი ბიჭი, ახლა კი ბავშვს ამ შობის
ლამეს, როგორ ნაართმევს ღმერთი?

ბავშვს კი გულში მაგრა ჩაუკრავს ანგელოზის
ქანდაკება, სუნთქვა უსუსტდება და ნელ-ნელა
ახალ ცხოვრებას იწყებს.

საკართველო იყიდება

იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-
გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის
ისტორიით, მომავალის სვე-ბედით, მშვენიერის ენით,
ნაქარგი ფარჩა — ხავერდით; ვაჟკაცური ხასიათით,
სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით,
წმინდა ჰაერით; ნაამაგევი სახლით და კარით;
ჩუქურთმიანი მონასტრებით და ეკლესიებით;
მოკაშკაშებული ცით; ერით, ბერით; თვალწარმტაც
ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილი ვაჟებით;
მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ
პატივსადებ მოხუცებით; იყიდება საქართველო
დედითა და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით,
ცოლით და ნათესავ-მოყვრებით.

ყიდის ყველა: ქუჩაში და სახლში, თეატრში და
სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსალოში,
ეტლში, მატარებელში, დილით და ლამით, სიცხეში
და სიცივეში, დარში და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპის
ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე. იყიდება
ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი სვანეთი და
სამეგრელო, გურია და ლეჩეუმი, რაჭა და ჯავახეთი.
იყიდება პატარ-პატარა ნაჭრებით, ვისაც რამდენი

სურს და როგორც უნდა: ნისიათი უფასოდ, ნალდად, დროებით და სამუდამოდ; ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

იყიდეთ ბარემ მთლად, განენეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!

პრეზენტი

ხელის ფათურით მონახა ლევანა თერძმა კარების გასალები, შეჩერდა, რაღაც გადაწყვიტა და კარები გააღო. სუფთა ცივმა ქუჩის პარმა, თითქოს შიშით დაიხია უკან და გზა მისცა შმორის და ოფლის სუნით გამსჭვალულ ოთახის პარს.

—ქალო, გზა გამიკვლიე, ვერას ვხედავ!...

—ჩუუ!...—იმავე წამს უპასუხა ვიღაცამაც, —მოიტა ხელი აპა, ფეხაკრებით. ბავშვები, როგორც იქნა, დავაძინე, — ფურუნით ეუბნებოდა დამხდომი,— ეცადე, ლოგინის კედელზე მოეთავსო, ბავშვები კედლისკენ დავაწვინე.

—სუფრასთან მიმიყვანე. რომ გაიღვიძონ, რაღა ვქნათ, არაფერი მომიტანია, ქალო!

—რატომ?—ყრუდ ჩაეკითხა ქალი.

—რატომ? რატომ? რატომ და თვალი ალარ ჭრის; ჩემი გავლებული გვირისტი სულ დასარღვევი გაუხდათ. დუგმები უკულმა დავაკერე. გამლანდეს, გამათრიეს და ისე გამომიშვეს...სამართლიანადაც. რათ ჩავიდგი შენს ცოდვაში ფეხი. რათ მოვიკიდე მისუსტებულ ზურგზე სამი ადამიანის სვე-ბედი. მთლად დავბრმავდებოდე მაინც... თავშესაფარში მიმიღებენ...

—არაფერია კაცო, ნუ გმობ ღმერთს...

—არ ვგმობ, პირიქით, თაყვანსა ვცემ მის კანონს... ღირსი ვარ, მე ყველაფრის ღირსი ვარ, მაგრამ თქვენ... თქვენ?! ხვალ ძალლებიც კი ხორცით გაძლებიან: ზოგს გადაუგდებენ, ზოგიც მოიტაცებს...თქვენ კი? ანაცრელი მჭადი მაინც გქონდესთ.

—დედა, მოვიდა მამა? — კნავის მისუსტებული ხმით ბავშვი...

ბრძა თერძის ავადმყოფ თვალებს სწვავს ცრემლები...

იქ, სადღაც შორს, ბეთლემში, ცხრამეტი საუკუნის წინათ, ცა მოჭედილ დამეს დაიპადა იესო, ძე ქალწულის მარიამისა, მაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი...

მე ქართველი ვარ!

დღეს დავიბადე განთიადის ქამს
და უკვე ვიცი - მე ქართველი ვარ!
უმაღ შევიგრძენ მშობლის ამბორით.
დედის რძის ძალით - მე ქართველი ვარ!

უტკბესი „ნანას მოსმენისთანვე.
გულში იელვა - მე ქართველი ვარ!
დედის ცრემლიან სისარულს ვუმზე
და მიხარია - მე ქართველი ვარ!
ალგეთელ ლეგენდა სისხლი მიუიგის.
მტერს ეშინოდეს - მე ქართველი ვარ!
რუსთველი, ვაჟა, ილია გამზრდის.
ზვიადის მოდგმის, მე ქართველი ვარ!

გორგასალიც ვარ და - ფარსმან ქველიც.
იცოდეს ეველამ - მე ქართველი ვარ!
ობიზარი ვარ, არსაკიძე ვარ,
ხმამაღლა ვამბობ - მე ქართველი ვარ!

მაცხოვარის გზით, გოლგოთას ავალ,
ჩემი ვალია - მე ქართველი ვარ!
ბილწით არ შავეკვრი, ურიცხვი ზავითა,
არ მეტადრება - მე ქართველი ვარ!

შატილიონთა მეციხოვნე ვარ.
რჯულს ვერ შევიცველი - მე ქართველი ვარ!
ენას და მამულს თავსაც შევწირავ,
დიდება უფალს, რომ ქართველი ვარ!..

გიორგი გიგაური.
სულთმოფენობა,
თიბათვის 8, 2014 წ.



ს ე ს ი ლ წ ლ ე ვ ი მ ა რ ი ბ ი

ვიცი, დარწმუნებული ვარ, 1914 წელი თუ ბევრს სხვა ვაებას (ესეც კი საეჭვოა) ამაცილებს თავიდან იმდენად სამართლიანი, ნამუსიანი გამოდგება, — ერთს ვერ შეიძლებს, იცით რას? რა ეწოდება იმ ერთს? ვითომ არ იცნობთ? როგორ არ იცნობთ, ცხვირნინ გიძეთ, ნამეტნავად თუ ცოლ-შვილი გყავთ, — ორი სამი გასაოხვარი ქალი, უეჭველად გეცნობებათ, იქნება ხორცსაც გაგლეჯინებთ თავის ქბილით, მაგრამ ვერაფერი გითქვამს საწინააღმდეგო; დაგდგომიათ თავზე ჯალათად და შენც ძალაუნებურად მიგიშვერია თავი და ეუბნები: „ჰა, ხმალი შენი, კისერი ჩემი!“ რას იზამ: ისეთი ძლევამოსილებითაა შეიარაღებული, ხმას ვერ იღებ მის წინააღმდეგ. წუთუ ხმის ამოღება წინააღმდეგ დალამებისა — წუ დაპლამდებიო — პინშავს რასმე? რას უნდა პინშავდეს როცა, რაც უნდა იყვირო, იჯავრო, თუნდა მთელი ხელეთის მეფეებიც მიიშველიო თავიანთ ჯარ-ზარბაზნებით, მაინც ვერაფერს გაპედები, მაინც დალამდება. მაინც. რა არს სახელი მისი? თქვენ ვინ იცის რა გგონიათ?! — სახელი მისი არის მოდა.

დაიაღ, მოდა, და საკვირველი ის არი — დაღამება-გათენების კანონი მსოფლიო ბუნებისაგან ცის

პლანეტთა და ჩვენის პლანეტის ერთმანეთთან შეთანხმება-შეკავშირებაზეა დაფუძნებული, მთელი ჩვენი პლანეტის სიცოცხლესთან არის შესისხლობორცებული. ხოლო ეს რაღაც მოდაა, იმას არც ცაში აქვს ალაგი, ე. ი. არც ცისა და მის პლანეტთა სიცოცხლისათვის არის საჭირო, არც დედამიწისათვის არ არის, ეს რაღაც მოდაა, აუცილებელი შედეგი ცისა და დედამიწის ურთიერთობისა, მაგრამ მაგარი ის არი, მეტიჩარა მოვლენა გაჩნდა ადამიანის დაავადებულ, გახრინილოცნებაში, როგორც მღილი, მატლი, გაუჩინა ოცნებას ქავილი, მონამლა ჰაერი და გააფართოვა თვისი მფლობელობა, მოძღვრება ქვეყანათა ზედა.

მოდა განზე ეწევა თავის სამფლობელოს სამზღვრებს და ჰლამობს თვისი ბატონობა დედამიწიდან ცაში გადაიტანოს. რა უნდა მოხდეს მაშინ? თქვენს მტერს და ავის მენდომეს, რაც მოხდება, ხოლო ჩვენ გვაშოროს! მე ვგრძნობ, რაც უნდა მოხდეს. აი რა: აღმოსავლეთს დასავლეთად მოაქცევს, დასავლეთს — აღმოსავლეთად; მზეს ურჩევს, მზე რომ არ მოეკიდოს — ერთ ორ საათს ამოვიდეს მხოლოდ, ცოტა ხანს უნათოს დედამიწას, შემდეგ მხართეძოზე წამოწვეს და დაიძინოს. როგორ გგონიათ, ვითომ

ხმა ღაღადისა

არა?.. რატომ, მაშ რის მოდაა, თუ ამისთანა რამეები არ ურჩიათ თავის ხელქვეითებს?!

ეს კიდევ არაფერი. შეიძლება მზეს მოდამ ისიც ურჩიოს აიღოს მზეობაზე ხელი და გარდიქნეს კოხტა, კოპნია ქალად, ტურმოპრუნულ, კაბაპრუნულ „ბარიმნად“, სახე ფერუმარილით გაიგლისოს და სულ რუსულად იტიკტიკოს, ქართულად სიტყვა არ წამოსცდეს და ამის გამო არ იქმნეს მოდის მიერ წყეულშეჩერენბული მთვარეს შეიძლება ურჩიოს, რადგან ქალაქები სულ ელექტრონით არის განათებული დამდამობით და მისი სინათლე არ არის საჭირო, დასტოვოს ხელობა თავისი ღამის გუშაგისა, ღამით მანათობელისა, წავიდეს და მარების ჯოგებს მოუაროს, იმათ აძოვოს. ისინი მწყსოს.

ვარსკვლავებს შეიძლება უბრძანოს მოპშორდნენ ცასა, კლუბში წავიდნენ ბანქოს სათამაშოდ და სხვადასხვა.

ღმერთმა დაიფაროს, მოდა იქამდის გაძლიერდეს, ცაშიც იბატონოს. ქვეყანაზე ბატონობა არ ეყოფა მამაცხონებულს, ახლა ცაზე არ გაგვიბატონდეს!.. დაილოცა უფლის ძალი და სამართალი, გზა შეუკრა ცაში ასასვლელად, თორემ თქვენს მტერს, რაც ჩვენ დღე დაგვადგებოდა, იქნება რაც ბატონები გვადგია თავზე, იმათი რინები დაგვიწყომოდა, მოდას ციდან ისეთი დღე დაეყენა ჩვენთვის.

ეს არ გვეყოფა ვაებად, რაც იმისაგან ვაებაში ვართ ჩაცვინული იმ ძალისა გამო, რაც მას დღეს ხელთ უპყრია, ახლა სხვა ძალაც არ მიუმატოს და მითი გაათასეცდეს ჩვენი ტანჯვა-წვალება?!

მე კი ჩემი დამემართა და თქვენი არ ვიცი.

უნდა მოდაზე ასდგე და დასჯდეო, მოდაზე უნდა გაიცინო, მოდაზე დაახველო, მოდაზე ჰსვამდე, სჭამდე მოდაზე უნდა გამოიყურებოდე, მოდაზე უნდა მიხვიდე ნაცნობ-მეგობართან, მოდაზე წამოხვიდე; როცა ღალატი სწადიან ცოლს ქმარისა, ხოლო ქმარს — ცოლისა, არაფერია, თუ ეს მოხდება ისე, როგორც მოდა მოითხოვს.

როცა გინდა მოატყუილო ამხანაგი, მეგობარი, გეპატიება, უკეთუ მოიქცევი თანახმად მოდისა. ჩაცმა-დახურვა მოდაზე წყალსა და ღვარსაც წაულია.

ეს რაღა უბედურებაა, აზროვნება, შემოქმედობა მოდას ემორჩილებოდეს? მოდა როცა შავს თეთრად აღიარებს, შენც შენი აზროვნება ისე უნდა მოაწყო, შავს შავი არ უწოდო, არამედ თეთრად გაასაღო საზოგადოებაში. რა თქმა უნდა, მოდა ამასთანავე იმასაც გავაღებს, თეთრი ბაზარზე შავად გამოჰყინეო. პოეტებიც კი, ჰყურობთ, პოეტები უნდა მოდაზე მღეროდნენ და პოეტობდნენ. ჰხედავთ საქმე სადამდის მიდის: კაცი რაზედაც აშენებულა, უნდა იმაზე ერთს წამში დაიფუშოსო ეს მატლი იქამდის გათამამდა, ადამიანის ტვინისა და გრძნობის მმართველად ჰსურს დადგეს; თავის გემოვნებაზე უნდა მოაწყოს, მთელი საზოგადოების აზროვნება

გულდალმა გადაბრუნოს, რათა იფარფაშოს თავის ნებაზე, ადამიანები თოვებად გადაგვაქციოს და თავად ადამიანად იქცეს. ამას დამტკიცება არ უნდა, ამას, როგორც მე, ისე თქვენთაგანი ყველა ჰგრძნობს, მაგრამ რადგანაც იგი უძლეველი ბატონია ჩვენი, მის შემუსვრაზე ფიქრსაც კი ვერა ვძედავთ: ვგრძნობთ, გვეშინიან, დარნეუნებული ვართ, შრომა ტყუილად ჩაგვივლის და მიტომ ვველანი ქედს ვისრით მის წინაშე და ამიტომ ვეძლევი ფიქრებს და თანა უნატრობ: ნეტა ამ 1914 წელს არ მოიტანს მოდა, — ქართველი იქცეს ქართველად; იგრძნოს და იცნოს თავისი თავი, არ ეშინოდეს თავის ვინაობისა; იცნოს თავისი მტრები, რომელნიც „მრავალ არიან, უფალო, და უნდათ წარიტაცონ შენი ცხოვარნი“. ნეტა ვერ შეიგრძეს ქართველობა იმ ანბანურ ჭეშმარიტებას, რომ მტერს ქართველებისთვის კარგი არ უნდა, შეაგნებინოს აგრედვე ის ჭეშმარიტება, გარეული ათასწილად ადვილი დასამარცხებლია შინაურს მტერზე, ვველაზე საშიში შინაური მტერია, რადგან ძველადგანვე თქმულა: „ციხე შიგნიდანა ტყდებაო“.

მოდავ, თუ გწამ, ღმერთი, შეაყვარე ქართველებს საქართველო, რადგან ამ უკანასკნელს, კარგად უწყი, არაფერი დაუშავებია იმათთან და ესენი კი აბა რაღა გითხრა

მოდავ, შენი შვილების ლხენასა, შეაყვარე ჩვენს ქალებს ქართული ენა და ქართული ლაპარაკი.

მოდავ, აგრემც ღმერთი სულ მუდამ კეთილ საქმეს გაკეთებინებს და ბოროტს აგაშორებს, აფიქრებინე ჩვენს მემამულებს, თავიანთ მამულ-დედულს ვიგინდა ვიზე არა ჰყიდდენ, არა სცრციდნენ თავის მშობელ დედას, არა ჰხდიდნენ ტანიდან სამოსელს და ტიტლიკანას არ უშვებდნენ თავის შესარცხვენად, დედის სასიკვდინოდ, ხოლო თავის სულის წასაწყმედად.

მერო ამას ვთხოვდი, მოდა თავს იქნევდა და ხელებს აქეთ-იქით ასავსავებდა, „არა, არაო!“ მეუბნებოდა.

ნახეთ სიმუხთლე ბედისა! მოდაც კი, მოდაც არა კისრულობს, რომ ცოტა ხანს მაინც ლამაზი გრძნობებით, ლამაზი და ნაყოფიერი აზრებით დაამშვენოს ჩვენი თანამოძმენი რომ ცოტა ხანს დაყუჩებულიყო მოკეთის გულის ტკივილი, ცოტა ხანს მაინც მტერს თვალი დასდგომიყო

ღმერთმა ქმნას, რომ მოდამ ამ საქმეში სამუდამოდ შემოგვაქციოს ზურგი და მაღალი საგნები არა დროს არ გახდეს მოდის სათამაშო ბურთად

რაკი ეგრეა, ღმერთმა ისე დაგვარგოს, რომ, მოდავ, შენი ხსენება ჩვენს მიდამოს არ იყოს, მით უმეტეს ჩვენ სამკვდრო-სასიცოცხლო საგანთა შორის.

წადი, წადი მოგვშორდი, ხოლო მე თვალს მივაპყრობ ისევ დროთა სვლას, წელთა სვლას; შენზე დამყარებას იმედისას, სჯობს ათასჯერ დავემყარო წელთა სვლას!

1914

მე დღეს გადამწვეს როგორც ნათურა

რატომ დავდივარ ასე მტირალი?
რად არ მიცინის სახე და პირი?
მე დღეს გადამწვეს როგორც სტირალი
და მოტუქულ ცხოვრებას კტირი.
არეული გვაქეს გზა და ბილიკი,
(გული დარდისგან კვნესის და ოხრავს),
სასახლეებად იქცა ბილიკი,
ქართველები კი გნატრულობთ ქოხმახს.
ტაშისეულარი და გაჩიანი
ჩახჩახებს მუდამ, დამით თუ დღისით,
და საქართველო ასე მზიანი
მართლა ჩვენია თუ არის სხვისი?
ერისკაცობა დაგმობილია,
(ვეღარ ვატოკებთ მხრებსა და მკლავებს),
ალბათ საფლავშიც დარდობს ილია,
საქართველოს რომ ქართველნი ჰქლავენ.
ერში სიკეთის არ ვართ მთესავნი,
(ჩვენი ცხოვრების მოდა მაკვირვებს!),
ჩემთესლილი ზის მეფესავით
და ქართველი ჰქავს მოჯამაგირედ.
წაშვლელს და მომსვლელს ფეხქვეშ ვეგებით,
გული ეველასთვის რომ გვაქეს კარღიად,
აქ ღვივდებიან უცხო თესლები,
ქართველები კი სადღაც გარბიან.
სახლიდან სადღაც გაგვირბის შვილი
და წინ ვიღაცა უცხო უძლვება
„ო, ღმერთო, ღმერთო, სულ მილი, მილი,
როსლა გვედირსოს ჩვენ გაღვიძება?“
ჩვენი გოდება როდემდე გასტანს?
როდემდე ვვავდეთ მშიერ, ბებერ მგლებს?

ალბათ საფლავშიც არ სმინავს ვახტანგს,
არ სმინავს დავითს, თამარს, ერეკლეს.
დაქანგებულა ხმალი, სანჯალი,
დადუმებულა ფარი და შუბი.
არ გვეავს მეფე და არ გვეავს სარდალი
და უკუღმართ ბერს ვაწვებით შუბლით.
ვაი, სირცხვილო, მმანო, ქართველნო,
როგორ დავეარეთ ეველამ ფარ-ხმალი,
ვაზი არ ჰყვავის, რთველი არ რთველობს,
თავს გვაზის ეველა ბრიუვი, ახვარი.
ეველამ გვძლია და ეველა გვაშინებს,
ეველამ გვაჯობა ჭეკით, გონებით,
ვერაგი მაპის ჯიშს და ნაშიერს
აფსუს, უომრად რომ ვემონებით.
დავკარგე სული დღეს, ჩემდა თარსად.
ერთ დროს ამავი ქართველი ქალი
აუროლებულს ჰქავს გომურში ხასად,
წინაპართა ძვლებს გააქვთ ზანზარი.
(დროა, შეგიკრათ ეველა ერთ მუშტად!)
დღეს თუ იუდა უცხომ ბაზარი,
ხვალ საქართველოს იუდის მუქთად...
ქვეწად ღიმილის ქაცად მოგედი,
და დღეს ცხოვრებას განვუდეს გვერდზე,
დავდივარ ერთი მწირი ზოეტი
და ჩემს მიწაზე სამშობლოს გვძებ.
ოცნების ზღვაში ვეღარ დავცურავ,
აღარ მიცინის სახე და პირი,
მე დღეს გადამწვეს როგორც ნათურა
და მოტუქულ ცხოვრებას კტირი.

ჩა კაბლურით ქმნები სახალისოდ



„გინდ მეძინოს მაინც სულში მიზიხარ!“, „შენ ჩემი მზე ხარ ამომავალი!“, „თვალები რომ მომანათე, თითქოს დილის ცისკარია“, „შენ ჩემი გაზაფხული და ჩემი ოცნების წყარო ხარ“, „ქალო, შენი ღიმილი ჩემთვის ყველაფერია“, „შემირიგდი“, „ტურფავ, ტურფავ“, „მხოლოდ შენ ერთს“, „ჩემთან მოფრინდი, მერცხალო“, ქალო, გნახე ფეხშიშველი“, გიყიდი, გიყიდი ფაჩუჩებს“ და ა.შ.

სიმღერები უნდა შეასრულონ სამზარეულოში ან აბაზანაში ჭურჭლისა და თეთრეულის რეცხვის დროს. სიდედრის თანდასწრებით, ცოლის აკომპანიმენტის თანხლებით, მაღალ ხმაზე, ფხიზე და დაგომარეობაში, მეზობლების გასაგონად.

თქვენ უნდა იმღეროთ: „კარგი იყო არ გამეცან თავიდან“, „სიყვარული არ იქნება, არ იქნება ძალადა“, „ღვინოსავით მათრობელავ, ჩემდა ჭირად დაიბადე“, „თავო ჩემო, ბედი არ გინერია...“

სრულდება დაბალ, ოდნავ სევდიან ხმაზე, უცრემლოდ, გაწყობილ სუფრასთან, დედამთილისა და მულების თანდა-სწრებით ქმრის მიერ ჩართულ სარეცხი მანქანის აკომპანიმენტის ქვეშ ნასვამ მდგომარეობაში.

ვალი ცინცავა



ცებიური
სოკების
ქმნები



ონტოფოს გაცოცხლებული სახლი



საქართველოს ეთნოგრაფიული მუზეუმი: „კოლხეთის (VI) ზონა რაიონთან ექსპორტის დათვალიერება კოლხეთის აუზ შავი ზღვისპირების ზონიდან იწყება, რომელის კარხიდააორებიც განლაგებულია შასასვლელიდან მარცხენა მხარეს, მუზეუმის ჩრდილოეთის საზღვრის გასწვრივ.

VI—2 კარ-მიდამო სამეცნიეროდან.

1. ოდა-სახლი ს. ონტოფოდან (აპაშის რაიონი)

გადმოტანილია 1970 წ. რ. ნადარეივილის კარ-მიდამოდან. აგებული ნაბლის ფიცრისაგან XIX ს. I ნახევარში, მისი ზომებია 8,5 X 9,08. ხუთმალიანი (6 გოძივი) აივნის გასცვრივ მოთავსეგულია ღილი და პატარა რთასი, უკან კი—მეორე რთასი, საკუფრაო და დერეფანისაგაუზრეო ეზოში გასასვლელად. კარ-ფაჯირები თაღოვანი აქვს, სვეტები—მრგვალი კვეთისა, მოაჯირები—რიცხვებიანი. სახურავი პრაგიტისაა რთხული. სამივა რთასის გურერები აგურისაა და შეღესილი, ამოყვანილია ერთ ფურცელი.

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში „ონტოფოს გაცოცხლებული სახლის“ პრეზენტაციაზე, დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ ისტორიის ბილიკებზე ემოგზაურათ, გასცნობდნენ XIX საუკუნისათვის დამახასიათებელ ისტორიულ-კულტურულ გარემოს, რენტის, სოფლის თუ შინამეურნეობის, სოციალურ და კულტურულ ყოფა-ცხოვრებას. ეროვნულ, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი „მასპინძლები“ აცოცხლებდნენ ისტორიას...

ეთნოგრაფიულ მუზეუმში არსებული ოდა-სახლი, რომელიც მეცნიერებული კარ-მიდამოს სიმბოლოდ აღიქმება, სოფელ ონტოფოში, ნადარეიშვილების ოჯახს ეკუთვნოდა. ბატონი რეზო ნადარეიშვილი, რომელიც ამ სახლის კედლებში დაიბადა და აღიზარდა, ლამაზი ღონისძიების საპატიო სტუმარი გახლდათ.

ოდა-სახლი

ონტოფოდან

ეთნოგრაფიულ

მუზეუმში XX საუკუნის 70-იან წლებში გადმოიტანეს. „ონტოფოს სახლი გულგრილს არავის ტოვებს. განსაკუთრებით უცხოელებს მოსწონთ აქაურობა. ყოფილა შემთხვევა, მეორე-მესამე წელსაც ამოუკითხავთ მუზეუმში ამ სახლის სანახავად და სხვებიც ამოუყვანიათ. აინტერესებთ, როგორ ამზადებდნენ სადილს ჩვენი წინაპრები, როგორ თბებოდნენ მიწურ იატაკიან უზარმაზარ დარბაზში, საიდან გადიოდა კვამლი, საიდან შემოდიოდა მზის შუქი... განსაკუთრებით იმით ინტერესდებიან, როგორ და რა თანმიმდევრობით თავსდებოდა მთელი სახლის სიგრძეზე გაჭიმულ უზარმაზარ ტახტზე (მაგრამ ერთადერთზე!) იჯახის ყველა წევრი“—აღნიშნავს სახლის მეთვალყურე, ქალბატონი მარინა სირაძე.


მეგრული ოდა-სახლის რეაბილიტაცია და „ონტოფოს გაცოცხლებული სახლის“ პრეზენტაცია, საქართველოს ეროვნული

ეთნოგრაფია

მუზეუმის პროექტის ფარგლებში განხორციელდა, რომლის პარტნიორი და მხარდამჭერი გახლდათ მსოფლიოში ცნობილი სკანსენის მუზეუმი ღია ცის ქვეშ (შვედეთი, სტოკოლმი).

ონტოფოს ოდა-სახლის ისტორიის, პრეზენტაციის შესახებ, ბატონმა რეზო ნადარეიშვილმა თავად გვიამბო, საინტერესოდ მოგვითხრო იმ სახლის შესახებ, რომელიც დღეს დამთვალიერებლის ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს.

რეზო ნადარეიშვილი: "1969 წლის შემოდგომა იდგა, წითელი ხავერდით დამშვენებული ეუვნებიანი ეტლი გაჩერდა ჩვენი სახლის ჭიშკართან, სტუმრად გვეწვიუნენ მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გივი ელიავა და ეთნოგრაფიული მუზეუმის დამაარსებელი გიორგი ჩიტაია. ეზო-კარი დაათვალიერეს, ყურადღება სახლზე გაამახვილეს-ეს იყო ბაბუაჩემის დატოვებული, ლაზების მიერ, წაბლის ხის ფიცრებისაგან აშენებული ოდა-სახლი, თაღოვანი ფანჯრებით, მრგვალი სვეტებით, რიკულებიანი აივნით, რომელსაც ამშვენებდა სხვადასხვა ფორმის ორნამენტები. ასევე სვეტებზე გამოსახული გახლდათ ჯვრები, მტრედები, კარზე კი ამოკვეთილი იყო მთვარე, რაც ქრისტიანობის



ტახტზე აღესრულა, ამ სახლის სხვენზე გაატარა 8 წელი. ჩემთვის განსაკუთრებით ამაღლელებული გახლდათ "ონტოფოს გაცოცხლებული სახლის" პრეზენტაციის წუთები, რომელიც ჩემი მოგონებების საფუძველზე შექმნილი პიესის "ონტოფოში გაგონილი ამბავის" მიხედვით გაიმართა.

აქ მსახიობებმა გააცოცხლეს ბერ-მონაზონი გრიგოლი (ბატა ნადარეიშვილი) ათონელი ბერი, ლირსი მამა ალექსი შუშანიას სულიერი შვილი, ასევე მამაჩემი, მეფის არმის უნტეროფიცერი, წმინდა გიორგის საპრძოლო ჯვრების სრული კავალერი, პირველი მსოფლიო ომის გმირი, ოკუპანტებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი ნესტორ გიგოს დე ნადარეიშვილი, ჩემთვის ამაღლელებული იყო მისი ფოტოს ხილვა შესავლელ კარებში, მსახიობმა გააცოცხლა დედაჩემი-თამარ ბესელია-ნადარეიშვილი, სენაკის დედათა მონასტრის აღზრდილი, ღრმადმორწმუნე ადამიანი. იყო დადგმული საოცრად ლამაზი სცენა: როგორ აწვდის პატარა რეზიკო (ანუ მე) თოკით სადილს, სხვენზე მყოფ ბიძას. ღონისძიების შემდეგ, ყველა ტურისტს, სტუმარს, მონაწილეს მეგრული ღომითა და სულგუნით გაუმასპინძლდნენ. ეს დღე ჩემთვის მნიშვნელოვანი გახლდათ, არამარტო ჩემთვის, ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ ჩემი სახლი, მნახველს იმდროინდელი მეგრული სოციალური ყოფის დეტალებს აცნობს". ღონისძიების სტუმრები გახლდნენ ასევე დავით ლორთქიფანიძე-საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი; მერაბ მიქელაძე —საქართველოს მუზეუმის გენერალური დირექტორის მრჩეველი, შვედეთის სკანსენის ეთნოგრაფიული მუზეუმის, ისტორიისა და სოციოლოგიის დეპარტამენტის დირექტორი კორტინო ლანგე.

33
33 ვაზათ „აბაშის მაცხოვე“ რედაქტორი



შემოსვლამდე კოლხების მთვარის თაყვანისცემაზე მიუთითებდა. სწორედ ეს სახლი იქნა გადატანილი საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში 1970 წელს და ღია ცის ქვეშ დაიდგა, თავიდანვე ყურადღების ცენტრში მოქმედა სახლი, აქ ფილმებსაც კი იღებდნენ, ამზადებდნენ სხვადასხვა ტიპის სიუჟეტებს. ბუნებრივია, სახლი გვენანებოდა, ვერ ველეოდით, ამ სახლში დავიბადეთ ჩვენ, ძმები, აქ დაიბადა ჩემი ძმაც, დიდი ქართველი მეცნიერი გენადი ნადარეიშვილი. მამამ აგვიხსნა, რომ ამ სახლს მუზეუმში უფრო გაუფრთხილდებოდნენ, მოუვლიდნენ. ჩვენც, რათქმაუნდა, დავუჯერეთ მას, დღესაც შემორჩენილია ხის ტახტი, სადაც დაიბადა გრიგოლ ბერი და 1945 წლის 17 დეკემბერს, ამავე

პოეზია

მონატრება

ნარიელის წმ. ნიკოლოზის ექლექსიის წინამდგვარი
დეკორი მამა გიორგი (გიორგი თევდორაშვილი).

ქველი საქართველო მენატრება, ცრემლი მეღვენთება თეალზე
წმინდა თამარ მეფე მენატრება, ქანგი მოგვეკიდა ხმალზე
მოთა რუსთაველი მენატრება, ბრძნული შაირობა ქნარზე
ქრისტეს ტბილი სიტევა მენატრება, მირონს ვეამბორე სატზე.

ცოლის მოფერება მენატრება, გული არ მიმიწვეს სხვაზე
ქარგი მეგაბარი მენატრება, მასთან ჰურ-მარილი უანწზე
წიგნი წასაკითხი მენატრება, ბრძენთა იგავები ხალხზე
სიერმის სიუვარული მენატრება, კცდილობა არ შემეტეოს ხმაზე.

მშვიდი დასვენება მენატრება, ვიცი გამაერავენ ჯვარზე
მრეგლთან ტრაპეზობა მენატრება, ჩონგურ-ჭიანურის ჭანგზე
მტერთან ზაფქრობა მენატრება, შები გამოვსახე ფარზე
მიწა-ზაპეული მენატრება, სანთლის დამაგრება რქაზე.

წრფელი გაღიმება მენატრება, სევდა-დეპრესიის ზღვარზე
უხვი წელიწადი მენატრება, მწევმსის მზრუნველობა წხვარზე
გულით დატირება მენატრება, ნაზი ოქროს სხივი ხავსზე
სტუმარ-მასხინდელი მენატრება, არგინ აკაკუნებს კარზე.

ურჩი დაგარგული მენატრება, იქნებ მოვიუვანო აზრზე
თბილი წერილები მენატრება, გრძნობით დაწრილი ცაზე
გისაც არ ვასხოვარ ისიც მენატრება, დროა მინასუხოს ზარზე
გუთხე-კუნჭულები მენატრება, მთიდან გადმოხედვა ბარზე.

სკოლის ნოლი ჯგუფი მენატრება, ზურგის მიუდება სკაზე
სწორი დარიგება მენატრება, რწმენით სიარული წეალზე
აი-იას წერა მენატრება, ხელის გათეთრება ცარტზე
მამის ვენახები მენატრება, მასთან საუბარი ვაზზე.

დედის შოთის ბური მენატრება, ნაზი მოფერება თავზე
და-მმის კინკლაობა მენატრება, ცელქი ჭიდაობა ლამზე
ჯარის მმაკაცები მენატრება, ხელის გადახვევა მხარზე
ეველა ეგოისტი მენატრება, რომ არ უფიქრიათ სხვაზე.

ქვეუნის გაბრწეუნება მენატრება, მაღლი გადებული ხრამზე
მაჭრის დაღვინება მენატრება, შობის ქადაგება გზაზე
ერის გამრავლება მენატრება. თევზი დაჭერილი მტბვარზე
ბავშვთა ქრიამული მენატრება, ჩუმი ძრომიალი ბალზე.

ჰერეთ-სამაჩაბლო მენატრება, გული მიბრუნდება მმაზე
გმირთა, ტაოს მიწა მენატრება, დიდი ისტორია ქვაზე
ქალთა გეგლუცობა მენატრება მსხვილი დალალები თმაზე
ნაღდი გაჟკცობა მენატრება, ჩოხა-ახალუხი ტანზე.

დედა ღვთისმშობელი მენატრება, ნათლის ათინათი კვართზე
ბერი გაბრიელი მენატრება, ბევრი მიფიქრია მასზე
ლურჯი აფხაზეთი მენატრება, ზენა მოკამამე ზღვაზე
სულთა საიქიო მენატრება, ხსონა სასუფელის ბაღზე.



**საქართველოს
კუთხითონ-პატრიარქი,
მთავარეპისკოპოსი
მეტეთა-თბილისის
და მიტიკონის
ბიჭინთისა და
ცხუმ-კუნძულის,
იმა 11**

ყველას მოგასაღებით, ღვთის ცეკლოგით მოვიდა ახალი წელი. ყოველ ახალ წელს ჩვენ ღილი იმაზეგით ვევდებით. ღღესაც იმაზეგით ვუყურებთ მომავალს. უპირველეს ყოვლისა, ყოველისა ჩვენებანება უდეა პილოცის თავი თვისის. ჯერ ქველი რომაელები აგრძელება „ნოსტრუ იუსტი“ - „შეიცავი თავი შენი“. ყველაზე ღილი საიდუმლოება ჩვენისა. ჩვენი დავინახავთ ჩვენ ღვთის, სიკათის, გორგანის. ადამიანება ყველაზერი უდეა გააკათის, რომ განიცილებოს თავისი გული და ადამიანის გული უდეა გამდეს ტაძარი უცილისა მინდისა.

ჩვენ გამოვიარეთ როგორი გზა, მაგრამ მი ვფიქრობ, რომ მომავალი ნათელია, საიმადოა. საქართველომ უდეა აირჩიოს ოქროს შუალები და მი ვიტყოდი, მთავა კაცკასია უდეა აირჩიოს ოქროს შუალები, ამინარეპიკასია კი არ უდეა იყოს ნინებალმდეგობის და დავირსაირების ასარიზი, არამედ თანამშრომლობისა და ურთიერთგანების ასარიზი უდეა გამდეს. მი ღღეს გულითადად ვულოცავ ახალ წელს მთავა საქართველოს. ვულოცავ ძართველებს, აფხაზებს, რსებს, გერმენებს, რუსებს და ყველას, ვინც ცხოვრობს საქართველოში. ჩვენ იმაზე ვხედავთ, ვუყურებთ მომავალს და ეს იმაზე დაგენარიზულია ჩვენს რომელაზე. მართლგადილებელი სარმატეობა, დიდარული და სასაობა უდეა სულივეს ადამიანის გულში.

ღღეს მი განსაკუთრებული დიდარული ცხოვროცავ უკლურებასა შინა მყოფთა“, ავადგებოვას, საავადგებოვოში, თუ სახლში მყოფთა. მი ვულოცავ აატიმრებს, გაჟირვებულთ და გისურვებთ, რომ თქვენი გაჟირვება, თქვენი მცუხარება სისარულით გაიცვალოს. ადამიანი რომ იყოს გადინერი, უპირველეს ყოვლისა საჭიროა გადლი ღვთისა, ცყალობა და გადლი ნინაპრებისა და კათილი საძმები თვითონ ადამიანისა. ძალიანდილი მიზანის მიზანისა და დალოცვას. მშობლები უდეა დალოცოთ თქვენი გვილები და ეს უდეა ცდებოდეს ყოველ ღღე. გვილე უდეა ღეგულობების ღოცება-კურთხევას თავისი დედისაგან და მამისაგან და უდეა ემთხვეოთ მშობლებს ხალხი. აი, ამთხვევის ძროს ძვთის ღოცება-კურთხევა გადომა თქვენი. კურთხევა უფლისა თქვენს ზედა, მისითა მაღლითა და კამთოყვარებითა. ყოვლადვე აც და მარაზის და უკუნითი უკუნისამზე, ამინ.

N
E
G
R

3
B

1
9